



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თორნიკე გორგაძე

ორპალატიანი პარლამენტის ინჰლემენტაციის საკითხი  
საქართველოში

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა  
სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ბექა ქანთარია  
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის  
სამართლის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2019 წ.

## ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილი საკითხის დამუშავებით ვეცადე წარმომედგინა ბიკამერალიზმის როგორც, ერთ-ერთი გავრცელებული სისტემის, საქართველოში ინპლემენტაციის შესაძლებლობა.

ტექსტში განხილულია ორპალატიანი პარლამენტის ძირითადი და ფუნდამენტური საკითხები, თავისი მნიშვნელობის გათვალისწინებით, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო სამაგისტრო ნაშრომის ფორმატში საკმაოდ ვრცლადაა წარმოდგენილი.

ნაშრომი შედგება სამი ძირითადი თავისგან თითოეული მათგანი დაყოფილია სამ ქვეთავად, ტექსტში განხილულია: ორპალატიანი სისტემის მართვისა და მოწყობის საკითხები, შედარებითი ანალიზითაა გამოყოფილი და ხაზგასმული თუ რა თავისებურებები გააჩნია და რა სირთულეს შეიძლება წავაწყდეთ ორპალატიან პარლამენტში, განხილულია უფლებამოვალეობების საკითხი და მისი გადანაწილების სახეები, ასევე სახელმწიფო კრიზისი და მისი თანმდევი პროცესები.

ნაშრომში განხილულია ასევე საქართველოს საკანონმდებლო რეგულაციები როგორც ბიკამერალიზმის მიმართ ასევე მასთან კავშირში მყოფ მნიშვნელოვან საკითხთა ირგვლივ.

ტექსტში გვხვდება საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული დიაგრამა და სტატისტიკური მონაცემები ქვეყნების მათი მართველობის ფორმისა და რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, ასევე გამოყოფილია საარჩევნო მექანიზმები, ცხრილის სახით.

ბოლოს წარმოდგენილია თუ რა უპირატესობები აქვს ბიკამერალიზმს და რატომ უნდა დაინერგოს ის, ასევე ისიც შესაძლებელია თუ არ აღნიშნულ სისტემაზე გადავიდეს საქართველო ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარეშე, დასკვნის სახით კი შეჯამებულია ყოველი ზემოთ ნახსენები საკითხი და ერთიანად, ვრცელად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული.

## The issue of the Bicameral parliament implementation in Georgia

### **Abstract**

By processing the issue presented in the master's thesis I tried to represent the possibility of implementing Bicameralism, as one of the most common systems, in Georgia.

The text discusses the main and fundamental issues of the Bicameral parliament, taking into consideration its significance, as far as it was possible in the form of a master's thesis.

The paper consists of three main chapters, each of which is divided into three sub-chapters, the text discusses management and structural issues of the bicameral system, with comparative analysis, there are separated and highlighted what are the features and what difficulties we may face towards bicameral parliament. The issue of responsibilities and its distribution is discussed, as well as a State crisis and its accompanying processes.

The paper also discusses the legislative regulations of Georgia, concerning to bicameralism as well as to related issues.

The text contains diagram and statistical data published by the international organization on the quantity and form of government of countries, as well as the election mechanisms, that are illustrated as a table.

Finally, the paper represents what advantages do the bicameralism has and why it should be implemented, also if it is possible to move to this system without Georgia's restoration of territorial integrity. the conclusion summarizes each of the above-mentioned issues and formes them uniformly, extensively and clearly.

## სარჩევი

შესავალი .....	5
თავი I. ორპალატიანი პარლამენტი .....	10
1.1. ორპალატიანი პარლამენტის წარმოშობა. ....	10
1.2. სხვა ქვეყნების გამოცდილება ბიკამერალიზმში. ....	12
1.3. ბიკამერალიზმი და საქართველო.....	16
თავი II. ბიკამერალიზმის პერსპექტივები საქართველოში.....	20
2.1. ორპალატიანი პარლამენტის ინპლემენტაციის მცდელობა საქართველოში. .....	20
2.2. ორპალატიანი სისტემა და არჩევნები.....	26
2.3. გარემოებები რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის ბიკამერალიზმთან.....	30
თავი III. ორპალატიანი სისტემის მართვისა და მოწყობის საკითხები.....	35
3.1. უფლებამოსილების განაწილება ორპალატიან სისტემაში.....	35
3.2. ორპალატიანი სისტემა კრიზისის დროს. ....	40
3.3. რა უპირატესობები აქვს ბიკამერალიზმს და რაგანსხვავებაა პალატებს შორის?.....	46
დასკვნა .....	53
გამოყენებული ლიტერატურა .....	58

## შესავალი

საქართველოს დღესმოქმედ 1995 წლის კონსტიტუციაში დაახლოებით 35-ჯერ შევიდა საკანონმდებლო ცვლილება იქნებოდა ეს მცირე თუ ფართო მამტაბიანი, აღნიშნული ცვლილებები მოიცავს 1995-2019 -წლებს<sup>1</sup>.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში მე-4 და 49-ე მუხლში საუბარია ქვეყნის ტერიტორიულ და პოლიტიკურ მოწყობაზე ორპალატიანი საპარლამენტო სისტემის სახით ასეთ დანაწეს კონსტიტუცია 2018 წლის რეფორმამდე ითვალისწინებდა.

რომლის შინაარსიდან იკვეთება, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების აღდგენის შემდეგ გატარდება რეფორმა , რომელიც საქართველოს გადაიყვანს ორპალატიან სისტემაზე სადაც იქნება რესპუბლიკური საბჭო და სენატი, რესპუბლიკური საბჭო იქნება პროპორციული წესით არჩეული წევრების ერთიანობა.

სენატის შედგება აფხაზეთში, აჭარაში და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისგან.

ზემოთაღნიშნულ ცვლილებებში, სხვა დანარჩენთან ერთად მოექცა აღნიშნული მე-4 და 49-ე მუხლები, პირველ შემთხვევაში ცვლილება შევიდა 49-ე მუხლში და პარლამენტის შემადგენლობა 235-წევრიდან შემცირდა 150-წევრამდე<sup>2</sup>.

შემდეგი ცვლილება ამავე მუხლში 2008/03/12 წელს შევიდა და პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით არჩეული წევრების რაოდენობა გათანაბრდა 75/75 .<sup>3</sup> მსგავსი ტიპის ცვლილებები არაერთხელ განხორციელდა ამავე მუხლში თუმცა ჩვენს შემთხვევაში უფრო მეტად საინტერესოა მე-4 მუხლი რომელშიც ცვლილება 1995 წლიდან 2018/03/23 არ შესულა , ცვლილების შემდეგ მუხლში აღნიშნული შესაბამისი პირობის შექმნა შეიცვალა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით, ამასთან ორპალატიანი სისტემის

<sup>1</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>

<sup>2</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=10>

<sup>3</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=18>

დათქმა გადავიდა პარლამენტის შესახებ მესამე თავში კერძოდ კი 37-ე მუხლში და უცვლელი სახით იქნა გაწერილი.

ფაქტობრივად საქართველო ბოლო 20-25 წელია ელოდება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას იმისათვის, რომ შექმნას ორპალატიანი სისტემა და მოაწესრიგოს ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხი.

სწორედ აღნიშნულმა გარემოებებმა მიიქცია ჩემი ყურადღება და როგორც აღმოჩნდა საკითხი ერთობ რთული და მნიშვნელოვანია ქვეყნის სტაბილურად განვითარებისათვის, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საკითხთან მიმართებით ძალიან მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მცირე საინფორმაციო რესურსებია, თუმცა აუცილებლად უნდა ავლნიშნო, რომ ძალიან გამომადგა (ზურაბ მაჭარაძის სადისერტაციო ნაშრომი მთავრობის საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლი ბიკამერალურ პარლამენტში (ქართულ პერსპექტივებთან კავშირში) ქ. თბილისი 2017.)<sup>4</sup>

გამომდინარე ქართული რეალობიდან, აღნიშნული საკითხის საბოლოო გადაჭრის ერთადერთ გზად როგორც ჩანს, სახელმწიფო პოლიტიკურ მოხედეებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მიუჩნევიათ რასაც მოჰყვა ის, რომ უკვე 20 წელზე მეტია საკითხი ღიად რჩება და მხოლოდ მცირედით თუ შემდეგ დადებითი კუთხით მისი შეცვლა, ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის, რომ ბოლო საკონსტიტუციო ცვლილებით, პირდაპირ და ხაზგასმით აღინიშნა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ ჩამოყალიბდება ორპალატიანი სისტემა.

მართალია აღნიშნული დათქმა ადრეც იყო თითქმის იდენტურად გაწერილი კონსტიტუციაში, სადაც ტერიტორიული მთლიანობის ნაცვლად შესაბამისი პირობები იყო ჩაწერილი, თუმცა მთავარი არა სიტყვათა წყობა ან და ტერმინთა ცვალეზადობა , არამედ უშუალოდ ის ფაქტი, რომ ქვეყანას, ქართულ სახელმწიფოს 1995 წლიდან სურს, რომ მას ჰქონდეს ორპალატიანი საპარლამენტო სისტემა და უამრავი საკონსტიტუციო და პოლიტიკური რეჟიმისა თუ მართველის ცვლილების მიუხედავად რჩება სურვილი აღნიშნული სისტემის

<sup>4</sup> [http://press.tsu.ge/ge/net\\_editions/xj-niq8km-r9euks3/xqgxxvs79x5lrl\\_8d/](http://press.tsu.ge/ge/net_editions/xj-niq8km-r9euks3/xqgxxvs79x5lrl_8d/)

ჩამოყალიბების, ფაქტია, რომ აღნიშნულ დათქმას არ ჰყავს მოწინააღმდეგეები და ის სახე უცვლელად ინარჩუნებს თავის ადგილს კონსტიტუციაში.

გამომდინარე ზემოთაღნიშნულიდან, ჩემი მიზანია სამაგისტრო ნაშრომის სახით შევძლო პასუხი გავცე ქვემოთ ჩამოთვლილ კითხვებს:

1. რა არის ოპალატინი პარლამენტი?
2. რა გამოცდილება არსებობს აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში?
3. რა ისტორიული წარსულის მატარებელია ის ?
4. შესაძლებელია თუ არა ბიპარლამენტარიზმის დანერგვა საქართველოში?
5. რა არის საჭირო ორდონიანი საპარლამენტო სისტემისათვის?
6. აქვს თუ არა მკვეთრად გამოვლენილი დადებითი ან უარყოფითი ნიშნები?
7. რატომ არ მოხერხდა დღემდე აღნიშნული საკითხის ვრცლად შესწავლა?
8. საჭიროებს თუ არა შეცვლას დღევანდელი სისტემა, იმ სახით რა სახითაცაა გაწერილი მომავლის პერსპექტივაში?
9. რაგანსხვავება პალატებს შორის?
10. იქნება თუ არა ქვეყნისთვის წინგადაგმული ნაბიჯი ოპალატინი სისტემა?
11. შესაძლებელია თუ არა დღევანდელი რეალობით აღნიშნული სისტემის დანერგვა?
12. რამდენად აუცილებელია ტერიტორიული მთლიანობა ორდონიანი პარლამენტისათვის?
13. გაართულებს თუ გაამარტივებს სახელმწიფოს მართვას ?

სამაგისტრო ნაშრომში ვცადე ზემოთ დასმულ შეკითხვაზე გამეცა შესაბამისი არგუმენტირებული პასუხი, რადგან საკვლევი თემის ძირითადი მიზანი სწორედაც ისაა, რომ გამოირკვეს მართლაც ტერიტორიული მთლიანობა აუცილებელი იმისათვის, რომ ქვეყანა გადავიდეს დათქმულ სისტემაზე თუ აღნიშნული მხოლოდ ერთ-ერთი დამაბრკოლებელი გარემოებაა, რომელიც არსებით დაბრკოლებას არ წარმოადგენს.

ან, რა ტომ უნდა განხორციელდეს დაანონსებული ცვლილება და რას უნდა ველოდოთ მისგან. ამასთან ერთერთი მთავარი საკითხია ისიც თუ რა იგულისხმება რეალურად ორდონიან სისტემაში რა სახესხვაობაა მათში ფუნქციური დატვირთვები და სხვა.

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის შედეგებით სამართლებრივი ანალიზის მეთოდი, ვინაიდან სამართლებრივი სიტემა მისგარეშე წარმოდგენილია თავისი ბუნებიდან გამომდინარე, აღნიშნული მეთოდით წარმოდგენილია რამდენიმე ქვეყნის მიდგომა და გამოცდილება ჩვენთვის საინტერესო საკითხის მიმართ, გამოყენებულია ასევე კვლევის ნორმატიული მეთოდი რომლითაც გაანალიზდა და სხვადასხვა მხრივ წარმოდგენილ იქნა ესა თუ ის საკანონმდებლო ნორმა, ომელიც დღეს ასეთი უწყინარი სახით შეიძლება სამომავლოდ ცხარე დისკუსიის საგანი გახდეს.

რათქმაუნდა სხვა მეთოდებთან ერთად გამოყენებულია კვლევის ისტორიული და ლოგიკური ანალიზი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა საკითხი ფართო მასებისათვის ყოფილიყო მეტად მარტივი აღსაქმელი და შესაბამისი კუთხით წარმოდგენილი.

ასევე უნდა აღინიშნოს სამაგისტრო ნაშრომის განსხვავება სხვა ნაშრომებისგან პირველი განსხვავება ეს უპირველესად ისაა, რომ ნაშრომში საქართველოს რეალობიდან გამომდინარე წარიმართა მსჯელობა, და გაეცა პასუხი კითხვას: შესაძლებელია მართლაც ჩვენი ქვეყანა გადავიდეს ბიპარლამენტარიზმზე?

ასევე მკაფიო აქცენტია გაკეთებული იმ შესაძლებლობაზე, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე გადავიდეს ორპალატიან სისტემაზე ხოლო ტერიტორიული მოწყობის საკითხი გადაწყდეს შემდეგ.

კიდევერთი განმასხვავებელი ნიშანი სწორედ საქართველოს სამომავლო პერსპექტივებზე მკაცრი აქცენტის გაკეთებაა, მართალია სხვა ნაშრომებშიცაა მსგავსი აქცენტი თუმცა ჩემი აზრით საკითხი მაინც ღიადაა დარჩენილი ვინაიდან გაცილებით ფართოდაა წარმოდგენილი სხვა ქვეყნების შესახებ



ინფორმაცია ხოლო საქართველოს ირვგლივ მსჯელობა უფრო მეტად სტანდარტულ სახეს იღებს.

ორპალატიანი სისტემის შესახებ საკითხზე ნამუშევარი აქვს : ზურამ მაჭარაძეს, დისერტაცია, მთავრობის საქმიანობის საპარლამენტო კონტროლი. ქ.თბილისი 2017წ.

ერემაძე ქ, ბიკამერალიზმის პერსპექტივები საქართველოში, ჟურნალ გაზეთი ადამიანი და კონსტიტუცია #1, 2005 წ.

კახი ყურაშვილი., კონსტანტინე ჩოკორაია., ანა ბუჩუკური., ბიკამერალიზმის დილემები. ქ.ბათუმი 2011წ. კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის მეცხრე გამოცემა.

ასევე საკითხზე ნამუშევარი აქვს : ქანთარია ბ, ორპალატიანი პარლამენტის პერსპექტივები საქართველოში, ნაშრომი შედგენილია კანონპროექტის მომზადების მიზნით რადგან შემდგომში დაწყებულიყო აქტიური მსჯელობა ბიკამერალიზმზე და მის რეალურ ასახვაზე საქართველოში.

საკითხთან მიმართებით ასევე დისერტაციის სახითააქვს ნამუშევარი ზურაბ მაჭარაძეს ,თუმცა ამ უკანასკნელს საკითხი დამუშავებულიაქვს როგორც მთავრობის საქმიანობის კონტროლი ბიკამერალურ პარლამენტში, და მასში ასე ვთქვათ, მეტნაკლებად ვიწროდაა განხილული უშუალოდ საქართველოს პერსპექტივები ბიკამერალიზმის თვალსაზრისით. რათქმაუნდა საკითხის ირვგლივ გამოყენებულია სხვა არაერთი თანმდევი ლიტერატურა რომელსაც აქ აღარ ჩამოვთბლით.

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ვცადე განსხვავებული სახით წარმომედგინა საკვლევი თემა რომლის წაკითხვის შემდეგ პასუხი გაეცემოდა რიგ შეკითხვებს, რომლებიც ზემოთ იყო წარმოდგენილი.

ვიმედოვნებ, რომ ღირსეულად შევძლებ პრობლემური საკითხის შესაბამისი კუთხით წარმოჩენასა და მასში არსებული პრობლემის გადაჭრას ყველასთვის მისაღები მეთოდითა და გზით.

# თავი I. ორპალატიანი პარლამენტი

## 1.1. ორპალატიანი პარლამენტის წარმოშობა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ პარლამენტარიზმის პირველი გამოვლინება ჯერკიდევ დიდი ხნის უკან ინგლისში განხორციელდა და არავისთვის არ არის სადაო ის, რომ მართლაც ეჭვარეშა აღნიშნული, თუმცა როგორც ზურაბ მაჭარაძის სადისერტაციო ნაშრომში<sup>5</sup> და არამარტო აღნიშნულში არის მოხსენიებული პირველი აგური მართლაც ჯერკიდევ ანტიკურ ხანაში დაიდო როგორც პარლამენტარიზმის ასევე ბიკამერალიზმის ანუ როგორც ორპალატიანი საპარლამენტო სისტემის სახით პირველი მცირეოდენი გამოვლინება ანტიკურ ხანაში რომსა და საბერძნეთში იყო წარმოდგენილი .

კარგადაა ცნობილი ეს ორი უძველესი სახელმწიფო რომლებსაც დემოკრატიის აკვანად მოიხსენიებენ , რომში და საბერძნეთში ტარდებოდა კარგად ცნობილი სახალხო ყრილობები,( ასე მაგალითად , ბულე და ცცლესია ათენში, ერუსია და პელლა სპარტაში, სენატო რომში რომში, ყველა აქ აღწერილი შემთხვევა როგორც ჩანს შეიცავდა იმ დუალიზმს რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე ბიკამერალიზმისთვის)<sup>6</sup>.

მსგავსი ტიპის ინფორმაციას გაეცნობით სამართლის ისტორიის ლიტერატურაშიც, სადაც იგივე ტიპის ყრილობებით, ქვეყნებში ინიშნებოდნენ მოხელეები რომლებსაც უნდა გადაეწყვიტათ მნიშვნელოვანი საკითხები მაგალითად: მოქალაქეთა ქვეყნიდან გაძევება, ან და სხვა სახალხო მნიშვნელობის საკითხი. აღნიშნული საინტერესოა სწორედ მასში არსებული პირდაპირი საარჩევნო სისტემით რომლის შემდგაც არჩეული კანდიდატებიდან ირჩევდნენ კიდევ დამატებით ხელმძღვანელ პირებს სწორედ ეს გახლდათ პირველადი სახის დუალიზმი გამოვლენილი ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში.<sup>7</sup>

<sup>5</sup> ზურამ მაჭარაძე, დისერტაცია, მთავრობის საქმიანობის საპარლამენტო კონტროლი. ქ.თბილისი 2017წ.

<sup>6</sup> ზურამ მაჭარაძე, დისერტაცია, მთავრობის საქმიანობის საპარლამენტო კონტროლი. ქ.თბილისი 2017წ. (გვ 42).

<sup>7</sup> ალექსანდრე ტალიაშვილი, ანტიკური ქვეყნების სასამართლო და პროცესი, თბილისი 2009. წ (გვ 9-32).

სწორედ რომსა და საბერძნეთში იყო საარჩევნო სისტემა რომლებიც ისეთივე გამოვლინებისა გახლდათ, როგორც დღეს, ტერიტორიული საარჩევნო სისტემის თვალსაზრისით, საუბარია ორპალატიანი სისტემისათვის დამახასიათებელი საარჩევნო სპეციფიკაზე ,თუმცა აქვე ავლნიშნავ, რომ დღევანდელი და ანტიკური ხანის სპეციფიკა მართალია რადიკალური განსხვავებებით გამოირჩევა თუმცა აქ მთავარი აქცენტი კეთდება პრინციპზე რომელშიც საზოგადოების ფართო ჩართულობაა იგულისხმება.<sup>8</sup>

როგორც უკვე აღინიშნა პარლამენტარიზმის და საერთოდ ორპალატიანი სისტემის ჩამოყალიბება ინგლისში მოხდა და ეს სწორედ მე-11 საუკუნიდან დაიწყო მაშინ როდესაც მონარქი გარკვეული გადაწყვეტილების მისაღებად კონსულტაციას გადიოდა მაშინდელ დიდგვაროვნებთან შემდეგ წრე გაიზარდა და შედარებით უფრო წვრილ აზნაურთა პოზიციისათვის ანგარიშის გაწევა ხდებოდა საჭირო, მე-13, მე-14 საუკუნეებისათვის უკვე სახეზე იყო დღევანდელი პარლამენტარიზმისათვის დამახასიათებელი მკაფიო ნიშნები ასე გრძელდებოდა ეტაპობრივად ვიდრე არ შეიზღუდა მონარქის უფლებები იმგვარად რა სახითაც დღესაა წარმოდგენილი და გაძლიერდა პარლამენტი, იმ სახით, რომ პარლამენტს გაუჩნდა იმპიჩმენტისა და უნდობლობის გამოცხადების ფუნქცია სხვადასხვა საკითხის უშუალო პრივილეგიით გადაწყვეტა რომელშიც მონარქს ცვლილების შეტანა არ შეეძლო შესაბამისად დამკვიდრდა ორპალატიანი სისტემა<sup>9</sup>.

---

<sup>8</sup> ვალერიან მეტრეველი , რომის სამართალი, თბილისი 2005. წ (გვ 118-135).

<sup>9</sup> ზურამ მაჭარაძე, დისერტაცია, მთავრობის საქმიანობის საპარლამენტო კონტროლი. ქ.თბილისი 2017წ. (გვ 45-50).

## 1.2. სხვა ქვეყნების გამოცდილება ბიკამერალიზმში.

ორპალატიანმა საპარლამენტო სისტემამ საკმაოდ გრძელი გზა განწვლო საკუთარი მნიშვნელობისა და უპირატესობის დასამტკიცებლად, მისი გაუქმების ტენდენციებიც შეიმჩნეოდა, თუმცა საბოლოო ჯამში მაინც დამკვიდრდა როგორც ერთ-ერთი ეფექტური მართველობის ფორმა.

ბიკამერალიზმის პირველი გამოვლინება XIV საუკუნეში ინგლისში და XVIII საუკუნეში აშშ-ი გამოჩნდა, რაც შეეხება თავად „ბიკამერალიზმი“ (ლათინურად-„bi“-ორს, „camera“-პალატა) ნიშნავს.

„ანდრამ შაიო საკუთარ ნაშრომში, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი,, აღნიშნავს სწორედ მსგავს მაგალითებს და ერთობ საინტერესოდ განიხილავს მას, მაგალითად: [ჰოლანდია-ბელგიის მაგალითი პარლამენტის მეორე პალატის შენარჩუნების “ორგანულ” პროცესს ადასტურებს. 1831 წლის ბელგიის კონსტიტუციით, წარმომადგენლებსა და სენატორებს ბელგიის ერთი და იგივე ამომრჩევლები არ ირჩევდნენ. სენატორთა საარჩევნო ოლქი პროვინციების ტოლი იყო, მაგრამ ისინი პროვინციებს არ წარმოადგენდნენ. სენატორებს რვა წლის ვადით ირჩევდნენ, მაგრამ იმ დროში კაცი ძალიან მდიდარი უნდა ყოფილიყო, სენატორი, რომ გამხდარიყო. 1848 წლიდან ჰოლანდიაში, ბელგიის სენატის მსგავსად, ზედა პალატის წევრებს პროვინციები ირჩევდნენ, მაგრამ არჩევნები პირდაპირი იყო. ამრიგად, სხვაობა ჰოლანდიის ორი პალატის წარმომადგენლებს შორის მხოლოდ საარჩევნო ოლქებს შორის სხვაობით აისახება. ტრადიციულად ორივე პალატას თითქმის ერთნაირი უფლებები ჰქონდა. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, პარლამენტის ორპალატიანობის გაუქმების იდეა დროდადრო იჩენს ხოლმე თავს. მაგრამ პირველმა (ზედა პალატამ) თანდათან სპეციპიკური კონსტიტუციური უფლებები მიიღო, კერძოდ, თავისი მოქმედებით იგი მეორე პალატის საქმიანობას აწონასწორებს, რომლის ლეგიტიმაცია უფრო უშუალოა.]<sup>10</sup>

მეცხრამეტე საუკუნისათვის დამახასიათებელ მოვლენად, რეფორმის მეშვეობით ზედა პალატის შენარჩუნება გახლდათ. აღნიშნულ საკითხზე ასევე

<sup>10</sup> ანდრამ შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, ქ.თბილისი, 2003 წ. გამომცემლობა „სეზანი“ (გვ.187).

ფართოდ საუბრობს ანდრამ შაიო, რომელიც აღნიშნული მიზეზად პოლიტიკოსებს შორის შფოთის გამოწვევის გარეშე, ადრინდელი ინსტიტუტების დემოკრატიულად ჩამოყალიბების საშუალებას ასახელებს. ამ პრინციპზე დაყრდნობით, საფრანგეთის პარლამენტი თავდაპირველად ერთპალატიანი იყო, მაგრამ 1875 წლიდან რესპუბლიკური წყობის შემოღების საფუძვლად იგი ორპალატიანი გახდა. აღნიშნულის ერთ-ერთი საფუძველი ბიკამერალიზმისათვის დამახასიათებელი ნიშანი ნაჩქარევი გადაწყვეტილების ხელშეშლა გახლდათ.


მართალია ჩვენ უკვე ვახსენეთ ესა თუ ის ქვეყანა ბიკამერალიზმთან მიმართებით თუმცა ეს ნამდვილად არ არის ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად საკმარისი იმისათვის, რომ უფრო ნათელი გახდეს თუ როგორი მდგომარეობაა დღეისათვის აუცილებლად უნდა გადავავლოთ თვალი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებსა თუ კონტინენტებს.

როგორც ცნობილია მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ კაცობრიობა ფაქტობრივად გადავიდა ახალ საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტზე რასაც ადამიანის უფლებების ფართო მამუტაბიანი დაცვა ჰქვია და ამისათვის შეიქმნა უამრავი სხვადასხვა სახის საერთაშორისო ორგანიზაცია რასაც თან მოჰყვა მსოფლიოს მრავალ ქვეყანას შორის ხვადასხვა ტიპის ხელშეკრულების დადება იქნებოდა ეს ადამიანის უფლებების დაცვა, კომფლიქტების გადაჭრის ხელშეწყობა, ომისა და სხვა სახის საფრთხის აცილება მათშორის შეიარაღების შემცირება და არსებული შეიარაღების გარკვეულწილად შემცირება- განადგურება.

მსგავსმა მიდგომამ ნამდვილად დაასრულა უამრავ სახელმწიფოს შორის ცივი ომის ფაზა და შეცვალა მშვიდობით, ასევე აქტიურად შეუდგნენ უამრავი ევროპული თუ არაევროპული სახელმწიფოები ახალ პოლიტიკურ პლატფორმაზე გადასვლას რაც თავისთავში მაღალ დემოკრატიასა და საზოგადოების ჩართულობის მაღალ სტანდარტს მოიცავდა, საუბარია საპარლამენტო სისტემაზე, რომელიც მართლაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაინერგა რიგ სახელმწიფოებში კერძოდ კი ბიკამერალიზმის სახით.

როგორც ზურაბ მაჭარაძე თავის დისერტაციაში აღნიშნავს ბიკამერალიზმი მხოლოდ ისტორიული გაგრძელება ნამდვილად არაა და ის 1970 წლისათვის 45-ამდე სახელმწიფოში ფუნქციონირებდა დღეს დღეისობით ცხადია აღნიშნული ციფრი პრაქტიკულადად გაორმაგებულია თუმცა აქვე უნდა ითქვას: სადისერტაციო ნაშრომში ისიცაა ხაზგასმით ნახსენები, რომ უამრავი სახეცვლილება და რადიკალური რეფორმებიც კი განიცადა რიგ სახელმწიფოებში ბიკამერალიზმა.<sup>11</sup>

2019- წლის მონაცემებით როგორც (საერთაშორისო საპარლამენტო კავშირის inter- parliamentary union-ს)<sup>12</sup> ოფიციალურ მონაცემებშია მითითებული, გასული წლის 31 დეკემბრის სტატისტიკის თანახმად მსოფლიოს-78 ქვეყანა ბიკამერალურია ხოლო 114-მონოკამერალური<sup>13</sup>, რაც პროცენტული მაჩვენებლით ასე გამოიხატება: ბიკამერალური-40.6% . მონოკამერალური-59.4%.<sup>14</sup>



Highcharts.com © Natural Earth

<sup>11</sup> ზურამ მაჭარაძე, დისერტაცია, მთავრობის საქმიანობის საპარლამენტო კონტროლი. ქ.თბილისი 2017წ. (გვ 30)

<sup>12</sup> <https://ipu.org/>

<sup>13</sup> [https://data.ipu.org/compare?field=country%3A%3Afield\\_structure\\_of\\_parliament#pie](https://data.ipu.org/compare?field=country%3A%3Afield_structure_of_parliament#pie)

<sup>14</sup> [https://data.ipu.org/compare?field=country%3A%3Afield\\_structure\\_of\\_parliament#map](https://data.ipu.org/compare?field=country%3A%3Afield_structure_of_parliament#map)

როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის სტატისტიკიდან და მსოფლიოს უკანასკნელი მონაცემებიდან ჩანს, ერთპალატიანი პარლამენტის მართველობის ფორმა, ძირითადად აფრიკის კონტინენტსა და აზიაშია გავრცელებილი, ხოლო გადამწყვეტ როლს მაინც ჩინეთი თამაშობს თავისი მოსახლეობის გათვალისწინებით.

თუმცა აშკარაა, რომ მსოფლიოს ზე სახელმწიფოებს აფსოლიტური უმრავლესობა რომლებიც განვითარების უმაღლეს დონეზე არიან, ორპალატიანი სისტემით კომპლექტდებიან, სწორედ ამიტომ ბიკამერალიზმი წარმატებულ მართველობის ფორმადც დამსახურებულად მიიჩნევა.

სხვაქვეყნებთან მიმართებით აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ რომ ბიკამერალიზმის მჭიდროდაა დაკავშირებული ტერიტორიულ მოწყობასთან თუმცა ამხრივ თითქმის ყველა ტიპის ტერიტორიულ მოწყობაში ვაწყდებით აღნიშნულ სისტემას, საუბარია გერმანიის (ფედერალიზმი), იტალიის (რეგიონალიზმი), საფრანგეთი (უნიტარიზმი).

XXI საუკუნეში, 2009 წლის მონაცემებით, ერთპალატიანი საპარლამენტო სისტემიდან ბიკამერალურ საპარლამენტო სისტემაზე გადავიდა ავღანეთი (ცენტრალური აზიის სამხრეთი), ბაჰრეინი (ახლო აღმოსავლეთი), ბურუნდი (ცენტრალური აფრიკა), ბჰუტანი (აზია), ზიმბაბვე (სამხრეთ აფრიკა), იემენი (ახლო აღმოსავლეთი), სენეგალი (დასავლეთ აფრიკა), სუდანი (ჩრდილო აღმოსავლეთ აფრიკა), ტუნისი (ჩრდილოეთ აფრიკა) და უზბეკეთი (ცენტრალური აზია).

თანამედროვე მსოფლიოს პარლამენტარიზმი იშვიათად, მაგრამ მაინც, საპირისპირო პროცესსაც იცნობს.

[მაგალითად, ნორვეგიის პარლამენტი 1814 წლის 17 ნოემბრიდან მოყოლებული, ბიკამერალურია, თუმცა იგი 2009 წლიდან ერთპალატიანი გახდა და გაუქმდა მისი ოდელსტინგად და ლაგტანგად დაყოფა.]<sup>15</sup>

---

<sup>15</sup> ბექა ქანთარია ორპალატიანი სისტემის პერსპექტივა საქართველოში 2014 წ.

### 1.3. ბიკამერალიზმი და საქართველო.

საკითხზე საუბარი აუცილებლად ერთ-ერთ ყველაზე ისტორიულად მძიმე და უაღრესად მტკივნეულ პერიოდზე საუბრით უნდა დავიწყოთ, ვგულისხმობ საქართველოს მე-20 საუკუნის განვლილ პერიოდს.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ საქართველომ 1918 წლის 26 მაის დამოუკიდებლობა გამოაცხადა თუმცა მაშინდელი საბჭოთა რუსეთი არ შეეგუა აღნიშნულს და როგორცკი საკუთარი შიდა თუ საგარეო პოლიტიკური პრობლემებისგან შვება იგრძნო მაშინვე შეუდგა საქართველოს ისევ საკუთარ დაქვემდებარებაში მოქცევას, 1921 წლის 25 თებერვალს რუსეთის- მე-11 არმიამ დაიკავა თბილისი და საქართველოში გამოცხადა საბჭოთა ხელისუფლება, დამოუკიდებელი საქართველოს მაშინდელი მთავრობა იძულებული გახდა გადასულიყო დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირა რეგიონში ქალაქ ბათუმში, სწორედ ამ ქალაქში -ნ.ი. ხვინგიას სტამბაში პირველად დაიბეჭდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის ოფიციალური ტექსტი.<sup>16</sup>

მართალია აღნიშნულ კონსტიტუციაში არ გვხვდება ბიკამერალიზმზე საუბარი თუმცა იმდენად ფართო და დემოკრატიული მონაპოვარია ხსენებული დოკუმენტი, რომ იმდროინდელ რიგ ევროპის სახელმწიფოს წარმომადგენლებშიც იწვევდა გაკვირვებას და არაერთი მათგანი აღნიშნავდა დოკუმენტის მაღალ დემოკრატიულ სტანდარტს, ეს განპირობებული იყო იმით, რომ მაშინდელ კონსტიტუციაში დაცული იყო ადამიანის უფლებები განსაკუთრებით ხაზი ჰქონდა გასმული ქალთა და მოქალაქეთა სხვადასხვა უფლებებს რომელიც იმდროისათვის რიგ ქვეყნებში ცალსახად არ იყო დაცვის ობიექტი.

აღნიშნულზე განსაკუთრებით კარგად საუბრობს გიორგი პაპუაშვილი საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავჯდომარე, ილიას უნივერსიტეტის

---

<sup>16</sup> გიორგი პაპუაშვილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია. ქ.ბათუმი 2013 წელი II-გამოცემა. (გვ-10-11)



პროფესორი, საკუთარ წიგნში 1921 წლის კონსტიტუციაზე<sup>17</sup>, მთავარი კი ისაა, რომ დღეს მოქმედი კონსტიტუცია პრეამბულაშივე აღნიშნავს, რომ ის 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით მოქმედებს, ბუნებრივია ჩნდება კითხვა რა იგულისხმება აღნიშნულში?.

აღნიშნულში საუბარია შემდეგ გარემოებაზე, როგორც უკვე ზემოთ ავღნიშნეთ საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციამ, 1921 წლის 25 თებერვლის რუსეთის მე-11 არმიის ოკუპაციის გამო ფუნქციონირება შეწყვიტა. თუმცა ეს არ განხორციელებულა უკვე მოქმედი კონსტიტუციის დაცვით, მითუმეტეს იმ ფონზე და იმ ქვეყნის მხრიდან რომელმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, საუბარია რუსეთის მიერ საქართველოსთან დადებული 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებაზე რომლითაც რუსეთმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა<sup>18</sup>.

სწორედ აღნიშნული ფაქტის უდევს საფუძვლად დღესმოქმედ კონსტიტუციებს განაცხადოს, რომ ის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის სამართალ მემკვიდრეა რადგან სწორედ 21 წლის კონსტიტუციის მე-10 მუხლი ამბობდა, „ეს კონსტიტუცია ძალაშია მუდმივად და შეუწყვეტელივ, იმ შემთხვევის გარდა, რომელიც ამავე კონსტიტუციას აქვს გათვალისწინებული.

აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციას მოქმედება არ შეუწყვეტია კანონის შესაბამისად იმ წესების დაცვით რაც გათვალისწინებული იყო იმდროისათვის, შესაბამისად შემდეგი კონსტიტუცია რაც მიღებული იქნა 1995 წლის 24 აგვისტოს აცხადებს მისი წინამორბედის სამართალ მემკვიდრედ თავს, ეს სრულიად ლოგიკურია და შეესაბამება სამართლის პრინციპებს.

ზემოთაღნიშნული მცირეოდენი ისტორიული მიმოხილვა აუციელებელი იყო ჩვენთვის საინტერესო თემის საქართველოსა და ბიპარლამენტარიზმის განხილვლად, რადგან დაახლოებით 70 წლის შემდეგ ზემოთხსენებული ოკუპაციისაგან მოხერხდა თავის დახსნა და უკვე ისევ დამოუკიდებელ სახელმწიფოში შემუშავდა ახალი კონსტიტუცია წარსული მემკვიდრეობის

<sup>17</sup> <http://constcourt.ge/ge/publications/books/1921-wlis-saqartvelos-demokratiuli-respublikis-konstitucia.page>

<sup>18</sup> გიორგი პაპუაშვილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია. ქ.ბათუმი 2013 წელი II-გამოცემა. (გვ- 12)

გათვალისწინებით, სწორედ აქ პოვა პირველი გამოვლინება ორპალატიანმა სისტემამ.

აღნიშნულ სისტემა გათვალისწინებული იყო 1995 წლის 7 მაისს გამოქვეყნებულ კონსტიტუციის კანონ პროექტში, რომელიც გამოქვეყნდა მაშინდელ დამოუკიდებელ გაზეთში სპეციალური გამოშვებით.

აღსანიშნავია ის, რომ ხსენებულ კანონპროექტში პარლამენტის შესახებ მე-3, თავში 44-ე მუხლის სახით აღნიშნული იყო პირდაპირ, რომ საქართველოს პარლამენტი შედგება ორი პალატისაგან, რესპუბლიკური საბჭო და სენატი. აქვე უნდა ითქვას ის, რომ პროექტის პირველივე მუხლში აღნიშნულია საქართველო იგივე ფედერაციული რესპუბლიკაა და წოდებები თანაბარმნიშვნელობისაა.

ხსენებულ პროექტში ფართოდაა განხილული პალატები და მათი უფლება მოვალეობები რაზეც დაწვრილებით შემდეგ თავებში ვისაუბრებთ და განვიხილავთ თითოეულ მათგანს ეხლა კი გადავიდეთ დღესმოქმედ საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციაზე.

როგორც უკვე ავღნიშნეთ დღეს მოქმედ კონსტიტუციაში დაახლოებით 35-ჯერ შევიდა საკანონმდებლო ცვლილება იქნებოდა ეს მცირე თუ ფართო მასშტაბიანი, აღნიშნული ცვლილებები მოიცავს 1995-2019 -წლებს<sup>19</sup>.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში ვიდრე ცვლილებები შევიდოდა, მე-4 და 49-ე მუხლში საუბარი ქვეყნის ტერიტორიულ და პოლიტიკურ მოწყობაზე ორპალატიანი საპარლამენტო სისტემის დანერგვაზე იყო.

რომლის შინაარსიდან იკვეთება, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების აღდგენის შემდეგ გატარდება რეფორმა , რომელიც საქართველოს გადაიყვანს ორპალატიან სისტემაზე სადაც იქნება რესპუბლიკური საბჭო და სენატი, რესპუბლიკური საბჭო იქნება პროპორციული წესით არჩეული წევრების ერთიანობა.

სენატის შედგება აფხაზეთში, აჭარაში და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისგან.

<sup>19</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>

ზემოთაღნიშნულ ცვლილებებში, სხვა დანარჩენთან ერთად მოექცა აღნიშნული მე-4 და 49-ე მუხლები, პირველ შემთხვევაში ცვლილება შევიდა 49-ე მუხლში და პარლამენტის შემადგენლობა 235-წევრიდან შემცირდა 150-წევრამდე<sup>20</sup>.

შემდეგი ცვლილება ამავე მუხლში 2008/03/12 წელს შევიდა და პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით არჩეული წევრების რაოდენობა გათანაბრდა 75/75 .<sup>21</sup> მსგავსი ტიპის ცვლილებები არაერთხელ განხორციელდა ამავე მუხლში თუმცა ჩვენს შემთხვევაში უფრო მეტად საინტერესოა მე-4 მუხლი რომელშიც ცვლილება 1995 წლიდან 2018/03/23 -მდე არ შესულა , ცვლილების შემდეგ მუხლში აღნიშნული შესაბამისი პირობის შექმნა შეიცვალა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით, ამასთან ორპალატიანი სისტემის დათქმა გადავიდა პარლამენტის შესახებ მესამე თავში კერძოდ კი 37-ე მუხლში და უცვლელი სახით იქნა გაწერილი.

საქართველოს დღესმოქმედ კანონმდებლობაში ბიკამერალიზმთან დაკავშირებით რეგულაციები ზემოთაღნიშნული შემთხვევის გარდა არ გვხვდება, თუმცა სამაგიეროდ მოიპოვება კანონპროექტები რომლებიც იყო განხილვის ობიექტი საქართველოში ბიკამერალიზმის დანერგვის მსურველთა პოზიციის შესაბამისად.

სულ ესაა რაც საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში მოიპოვება ბიკამერალიზმზე და სასურველია უფრო ფართოდ მოხდეს მისი შესწავლა როგორც მომავალი სახელმწიფოს მართველობის ფორმისა , გამოვლინდეს და დაიხვეწოს დადებითი და უარყოფითი მხარეები რის გათვალისწინებითაც შემუშავდება შესაბამისი საკანონმდებლო მიდგომები.

---

<sup>20</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=10>

<sup>21</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=18>

## თავი II. ბიკამერალიზმის პერსპექტივები საქართველოში.

### 2.1. ორპალატიანი პარლამენტის იმპლემენტაციის მცდელობა საქართველოში.

ორპალატიანი პარლამენტის იმპლემენტაციის მცდელობა ნამდვილად იყო საქართველოში, ამასთან აღნიშნული საკითხი არ მოხსნილა დღისწესრიგიდან და ის ჯერკიდევ აქტუალურია ამის მკაფიო მაგალითი დღესმოქმედი კონსტიტუციის შესაბამისი მუხლებია რომლებიც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემთხვევაში ორპალატიანი სისტემის ამოქმედებას აანონსებს, რესპუბლიკური საბჭოსა და სენატის სახით.

პირველი და ერთ-ერთი ნათელი მაგალითი იმისა, რომ მართველობის აღნიშნულ ფორმას სრული სერიოზულობით უჭერდნენ მხარს და სურდათ რეალური შედეგის მიღწევა ეს 1995 წლის 7 მაის დამოუკიდებელ გაზეთ „ფორტეში“ სპეციალური გამოშვების სახით გამოქვეყნებული კონსტიტუციის პროექტი გახლდათ, რომელშიც ფართოდაა საუბარი ორპალატიან პარლამენტსა და მის უფლებამოვალეობებზე.

გარდა აღნიშნული კანონპროექტებისა დაცულ ფონდებში მოიპოვება კიდევ რამდენიმე სხვა კანონპროექტები რომლებიც, ასევე ორპალატიანი სისტემის დანერგვას ითვალისწინებდა.

ასეთი ფართო შეხება ორპალატიან სისტემასთან კანონმდებლის მხრიდან პრაქტიკულად აღნიშნულის შემდეგ არ ფიქსირდება ქართულ საკანონმდებლო სივრცეში.

კონსტიტუციის 1995 წელს გამოქვეყნებულ პროექტში მესამე თავის სახით გათვალისწინებული იყო ორპალატიანი პარლამენტი, რომელიც შედგებოდა 23-მუხლისგან ფაქტობრივად 23-მუხლით მოწესრიგებული იყო პარლამენტის შესახებ ძირითადი საკითხები.

პროექტში საინტერესო მოცემულობა ორპალატიანი სისტემის კონსტიტუციურ დონეზე მოწესრიგებაა, ვინაიდან მასში პირდაპირაა გაწერილი პალატების ჩამოყალიბებისა და შემდგომში ფუნქციონირების მექანიზმები, რათქმაუნდა ვხდებით დათქმებსაც რომელიც სამომავლოდ ითვალისწინებდა

ამა თუ იმ საკითხის დარეგულირებას, თუმცა ფაქტია, რომ იმდროისათვის საკმაოდ ფართოდ იყო მოწესრიგებული სისტემა, რომელზეც დღეს პრაქტიკულად ინფორმაციული ვაკუუმი ჩვენს კანონმდებლობაში.

მსურს საინტერესო დათქმები განვიხილო ნაშრომში რათა უფრო ნათელი გახდეს იმ დროისათვის არსებული პოზიცია პარლამენტის დაკომპლექტებისა და მოწყობის შესახებ.

პროექტის მიხედვით საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების ზოგადი ფუნქცია იყო: საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელება, საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების გადაწყვეტა, მინისტრთა კაბინეტის კონტროლი, და სხვა კონსტიტუციით მინიჭებული უფლება მოვალეობები.

უშუალოდ პალატებთან მიმართებაში აღნიშნული იყო, რომ რესპუბლიკური საბჭო შედგება პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 100 დეპუტატისგან, აქვე მოგახსენებთ , რომ კანონპროექტი არ ითვალისწინებდა კონკრეტულ რაოდენობას პარლამენტის წევრებისა, მაგალითად: როგორც დღესმოქმედ კონსტიტუციაშია მითითებული 150-წევრი.<sup>22</sup>

რესპუბლიკური საბჭოს დეპუტატ წევრებს ირჩეოდნენ 4-წლის ვადით, პასიური საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეს 23 წლის ასაკიდან.

რაც შეეხება სენატს, განსხვავებით რესპუბლიკური საბჭოსგან კონკრეტული რაოდენობა არ არის მითითებული, თუმცა საუბარია ადგილობრივი თვითმართველობის მიერ კონკრეტულად აფხაზეთისა და აჭარის მხარეებიდან 6- წლის ვადით ოთხ-ოთხი სენატორი ხოლო ცხინვალის ოლქიდან - 3 სენატორი წევრი,

ასევე დამატებით ოთხ-ოთხი წევრი აირჩევა აფხაზეთის აჭარისა და თბილისის უმაღლესი წარმომადგენლობის მიერ, რაც შეეხება სხვა ეროვნული უმცირესობების ინტერესებს დამატებით პრეზიდენტი ნიშნავს 5- სენატორს 2 წლის ვადით, პროექტის მიხედვით სენატორთა მინიმალური ასაკი 30 წელია, ფაქტობრივად სენატორთა რაოდენობა 28-წევრს შეადგენდა (4+4+3+4+4+4+5=28)

---

<sup>22</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35> (37-ე. მუხლი)

სენატის აღნიშნული რაოდენობა აუცილებლად შევიდოდა პარლამენტში, ვინაიდან პროექტი პირდაპირ ითვალისწინებდა მას, თუმცა ჩემთვის გაუგებარია რით იყო გამოწვეული პრეზიდენტის მიერ არჩეული წევრების უფლებამოსილების ვადის 2-წლამდე შემცირება, მიმაჩნია, რომ აღნიშნული ეწინააღმდეგება მითითებულ სხვა ეროვნული უმცირესობების ინტერესებს.

საინტერესო დათქმა ასევე ისიც, რომ კონსტიტუციის ეს კანონპროექტი რესპუბლიკის ყოფილ პრეზიდენტებს ანიჭებდა უფლებას უვადოთ და საკუთარი სურვილით გამხდარიყვნენ სენატორები, თუ მათ უფლება არ შეუწყდათ კონსტიტუციით დადგენილი 59-ე მუხლით დადგენილი წესით.

რესპუბლიკის პრეზიდენტი ყოველ ორწელიწადში ერთხელ ნიშნავს სენატის არჩევნებს სენატის შემადგენლობის ერთი მესამედის გასაანახლებლად.

მაგრამ აღნიშნულ დათქმაში ვაწყდებით ერთგვარ წინააღმდეგობას, თუ ყოველ 2 წელიწადში ერთხელ 1/3-ით უნდა განახლდეს სენატი აღნიშნული დაახლოებით 28 კაციანი სენატის შემთხვევაში ავტომატურად აღემატება პრეზიდენტის მიერ 2-წლის ვადით დანიშნულ 5 კაცს რაც იმას ნიშნავს რომ სენატის გარკვეულ წევრებს მოუწევთ 6 წლიან ვადაზე ადრე საქმიანობის შეწყვეტა, ფაქტია კონსტიტუციის დანაწესები ურთიერთ საწინააღმდეგო დათქმებს აკეთებს რაც გამოდინარეობს პროექტის, 46-მუხლიდან.

სენატი უფლებამოსილია შესაბამისი პროცედურის დაცვისა და გარემოებების არსებობის შემთხვევაში დაითხოვოს, პრეზიდენტი, რესპუბლიკური საბჭო ფაქტობრივად ძირითადი კანონმდებელი რგოლია რადგან მასში შედის შესაბამისი კანონპროექტები და ინიციატივები, ხოლო შემდგომში შესაბამისი პროცედურის გავლით მტკიცდება.

მიუხედავად კონსტიტუციის 1995-წლის პროექტში არსებული ფართო რეგულაციებისა მაინც იკვეთება წინააღმდეგობები რომლებზეც უკვე ვისაუბრეთ შესაბამისად საინტერესოა თუ როგორი ფუნქციური დატვირთვა ექნებოდა რეალურად აღნიშნულ ნორმებს და ხომარ იქნებოდნენ ისინი ეგრეთ წოდებული მკვდრადშობილი ნორმები?

მართალია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ცალსახად შეუძლებელია, თუმცა ძნელია გაითვალისწინო ყველაფერი იდეალურ დონეზე.

აღნიშნული კანონპროექტის გარდა საქართველოში სხვადასხვა ჯგუფების მიერ ასევე შემუშავდა კონსტიტუციის პროექტები რომლებშიც ორპალატიანი მართველობის ფორმა იყო გათვალისწინებული, ამასთან კანონპროექტებს შორის შეიმჩნევა მნიშვნელოვანი სხვაობა.

მაგალითად:

- [სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის პროექტი, ითვალისწინებდა ორპალატიან სისტემას,

მუხლი 44

1. საქართველოს პარლამენტი შედგება ორი პალატისაგან, რესპუბლიკის საბჭოსა და სენატისაგან.
  2. დეპუტატებისა და სენატორების არჩევის წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.
  3. თითოეული პალატის შინაგანი სტრუქტურა, მუშაობის ორგანიზაცია და წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და თითოეული პალატის მიერ სიითი შემადგენლობის უმრავლესობით მიღებული თავისი რეგლამენტით.
- 3 ივლისი, 1995 წელი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის პროექტში პარლამენტის პალატების რაოდენობა და სახელწოდება უცვლელია თუმცა ქვედა პალატის წევრების რაოდენობა 120 წევრიდან შემცირებულია 100 წევრამდე.
  - კიდევერთი პროექტი ითვალისწინებდა ისევ ორპალატიან სისტემას თუმცა სახელწოდება განსხვავებული იყო ქვედა პალატისათვის
  - მუხლი 55 პარლამენტი შედგება ორი პალატისაგან - სახალხო კრებისა / ქვედა პალატა / და სენატისაგან / ზედა პალატა.
  - საქართველოს კონსტიტუცია მიღებულია 1921 წლის 21 თებრევალს, გადასინჯულია 1994 წლის \*\* ოქტომბერს პროექტი შესრულებულია თსუ საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების

ვაკულტეტის ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ჯგუფის მიერ,  
1994 წლის იანვარი.

მუხლი 31

უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო

1. საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა საქართველოს პარლამენტი, რომელიც შედგება დარბაზისა და ეროვნული საბჭოსაგან.
2. პარლემენტი ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, აკონტროლებს აღმასულებელ ხელისუფლებას და ასრულებს კონსტირუციით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.
  - საქართველოს კონსტიტუციის პროექტი სამართლიანობის აღდგენის კავშირი - “ზმა ერისა”

მუხლი 44 საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა საქართველოს პარლამენტი, რომელიც შესდგება მხარეთა და წარმომადგენელთა პალატებისაგან.]<sup>23</sup>

კანონპროექტები რომელიც ზემოთ თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგინეთ ითვალისწინებდა ორპალატიან სისტემას, გარდამავალ პერიოდში ასეთი 6-სახის კანონპროექტი შეიქმნა და ყოველი მათგანი ითვალისწინებდა ორპალატიან მართველობის ფორმას, თუმცა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა აღნიშნული სისტემის დანერგვა.

ჩამოთვლილი კანონპროექტები, სხვადასხვა სახელწოდებითა და ფორმირების წესით იყო გაწერილი შემდგომში დანერგვის მიზნით, მართალია პროექტთა განხილვის მიუხედავად მისი დამტკიცება როგორც ქვეყნის ფუნდამენტური და პირველი კანონი, არ მოხერხდა, თუმცა ფაქტია, რომ საქართველოში ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ იდგა დღისწესრიგში ჩვენსმიერ განხილული სისტემა და შესაბამისად აქტიურად მიმდინარეობდა მისი აკვარგინობის განხილვა.

მართველობის ამ ფორმის უარყოფის მიზეზი მხოლოდ ის არ ყოფილა, რომ ქვეყანაში შესაბამისად ვერ შეიმუშავეს მისაღები კანონპროექტი, ან და

<sup>23</sup> საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა( დაცული ფონდები, კონსტიტუციის კანონპროექტები)



საზოგადოების მხრიდან არ აღმოჩნდა მზაობა დაენერგათ აღნიშნული, საქმე იმაში გახლდათ, რომ მაშინდელი პოლიტიკური რეალობა სულ სხვა განზომილებაში იყო, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა.

საქართველოს მაშინდელი მართველი ძალა ცხადია განიცდიდა ზეწოლას რუსეთის მხრიდან, რომელსაც არ სურდა დამოუკიდებელი საქართველო უფრო მეტიც მისთვის ეს ახალი თავის ტკივილი იქნებოდა მითუმეტეს ისეთი საქართველო სადაც დემოკრატიის მაღალი ხარისხი და საზოგადოების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები იქნებოდა.

აქტიური მცდელობის მიუხედავად, ხელი შეეშალათ საქართველოს, როგორც თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში, საქართველომ მაინც მოახერხა მიეღწია მიზნისათვის აღედგინათ დამოუკიდებელი ქვეყნის ღირსება და შესაძლებლობები.

## 2.2. ორპალატიანი სისტემა და არჩევნები.

ორპალატიანი სისტემის საარჩევნო საკითხის საუბრისას აუცილებელია შევხებით უკვე ჩვენთვის ცნობილ კანონპროექტს რომლის 45-ე მუხლი ამბობს რესპუბლიკური საბჭო შედგება პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით 4 წლის ვადით არჩეული 100 დეპუტატისაგან.

რაც შეეხება დღესმოქმედი კონსტიტუცის, 37- მუხლის პირველ პუნქტში მითითებულია, რომ რესპუბლიკურ საბჭო შედგება პროპორციული წესით არჩეული წევრებისაგან.<sup>24</sup> მარტივი შესამჩნევია, რომ წინარედაქციაში პარლამენტი აირჩეოდა პროპორციული 77 და მაჟორიტარული 73 დეპუტატის ოდენობით, ხოლო ბოლო ცვლილებით მაჟორიტარული სისტემა უგულვებელყოფილია და მხოლოდ პროპორციული წესით არჩეული 150 დეპუტატი არის მითითებული.

ასევე მნიშვნელოვანი გარემოებაა ის ფაქტი, რომ საქართველოს ორგანულ კანონში კერძოდ საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებით რომელიც განხორციელდა (13.08.2018) წელს, 109-ე მუხლში გაკეთდა ასეთი სახის დათქმა, არსებულ რედაქციას რომლის მიხედვითაც პარლამენტის წევრები აირჩეოდნენ პროპორციული 77 და მაჟორიტარული 73 წევრის ოდენობით, დაემატა ცვლილება და აღინიშნა, რომ საქართველოს პარლამენტის 150 წევრი აირჩევა ერთიან მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

ხსენებული (პროპორციული სისტემა ამოქმედეს საქართველოს პარლამენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის თანავე.)<sup>25</sup>

თუ დავაკვირდებით ორგანული კანონის ამ ცვლილებას მარტივად შევამჩნევთ კანონმდებლის ერთობ უცნაურ მოქმედებას ვინაიდან, საპარლამენტო არჩევნები 2020 წლისათვის უნდა ჩატარდეს დათქმის თანახმად სწორედ 2020 წელს ჩატარებული არჩევნების შემდეგ უნდა ამოქმედეს

<sup>24</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35> (37-ე მუხლი)

<sup>25</sup> <https://matsne.gov.ge/document/view/1557168?publication=53>

პროპორციული სისტემა, ანუ პროპორციული საარჩევნო სისტემა 2024 წლისათვის დაიწყებს ფუნქციონირებას.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ჩნდება ლოგიკური განცდა, რომ არსებულ პოლიტიკურ ძალას სურს სათავესოდ გამოიყენოს ეგრეთწოდებული შერეული სისტემა, სავარაუდო გამარჯვების შემდეგ კი 2024 წლისათვის აამოქმედოს დაანონსებული საარჩევნო სისტემა.

საკითხის ირგვლივ ცხარე კამათი მიმდინარეობს პოლიტიკურ პარტიებს შორის იმისათვის, რომ უფრო ნათელი იყოს თუ რა საარჩევნო სისტემებზეა საუბარი ქვემოთ მოკლედ დავახასიათებთ თითოეულ მათგანს.

საარჩევნო სისტემები		
მაჟორიტარული სისტემები	შერეული სისტემა	პროპორციული წარმომადგენლობითი სისტემა
ფარდობითი უმრავლესობის სისტემა		პრეფერენციული სისტემა
აბსოლუტური უმრავლესობის სისტემა		პარტიული სიების სისტემა

ფაქტობრივად დღეს საქართველოში მოქმედებს შერეული სისტემა, აღნიშნული სისტემა მაჟორიტარული და პროპორციული სისტემის კომბინაცია და კუმულაციურად გამოიყენება, მათ როგორც დადებითი ასევე საკმაოდ მნიშვნელოვანი უარყოფითი მახასიათებლები აქვთ.

მაჟორიტარული სისტემის დადებითი მახასიათებელია ის , რომ განსაკუთრებული სიმარტივით გამოიჩევა, მაგალითად ერთ-ერთი სახე ფარდობითი უმრავლესობის სისტემა , აღნიშნულ სისტემის მახასიათებელი ისაა, რომ იშვიათად საჭიროებს მე-2 ტურს, თუმცა საკმაოდ ცუდი შედეგების მომტანია საშუალო და მცირე პოლიტიკური პარტიებისათვის, ასევე ამ

სისტემისათვის დამახასიათებელია მნიშვნელოვანი რაოდენობის ხმების დაკარგვა.<sup>26</sup>

აბსოლუტური უმრავლესობის სისტემა, ეს სისტემა ცნობილია 50%+1 და დემოკრატიის გამოვლინების საკმაოდ მაღალი ხარისხი ახასიათებს ხმათა უმრავლესობის სახით თუმცა ნაკლიც ასევე დიდიაქვს როდესაც რამოდენიმე ძლიერი პარტია იყრის კენჭს რამოდენიმე ტურის ჩატარება გარდაუვალია რის გამოც დამატებით სისტემას ეგრეთ წოდებული ალტერნატიული ხმის მიცემის წესი ემატება რომლის დამსახურებით საჭირო აღარაა მეორე ტურის გამართვა თუმცა უარყოფითი მომენტია როდესაც წვრილი პარტიების ხარჯზე ლიდერი პარტიები ძლიერდება.

პროპორციული წარმომადგენლობითი სისტემა: პრეფერენციული სისტემა, საკმაოდ მოქნილი და ერთობ საინტერესო სისტემა ვინაიდან ამ დროს ამომრჩეველი ხმას აძლევს როგორც სიას ანუ კონკრეტული პარტიის მიერ წარდგენილ ჯგუფს როგორც ერთიან ნაწილს ასევე უშუალოდ სიის შიგნით შეუძლია სურვილისამებრ განსაზღვროს კანდიდატთა უპირატესობა მარტივი ნუმერაციის (1,2,3,4,...),

ამ სისტემის ნაკლი ისაა, რომ ხმის დათვლის პროცესი გამოირჩევა სირთულით და ბიულეტენების ერთიანად დათვლას საჭიროებს.

რაც შეეხება პარტიული სიების სისტემას ხისტი სიების დროს პირველ რიგში ირჩევენ პოლიტიკურ პლატფორმას და მოქმედების გეგმას, აღნიშნული მარტივია განსახორციელებლად და ფინანსურადაც იაფი ჯდება თუმცა მისი უარყოფითი მხარე ის გახლავთ, რომ პარტიული სიის მეშვეობით აირჩიონ (გამდრეს) არაპროფესიონალი ან საერთოდ უცნობი არა სასურველი დეპუტატი- (სენატორი ) პოლიტიკოსი.<sup>27</sup>

შერეული სისტემა ეს ზემოთ აღნიშნული სისტემათა ერთიანობაა, მათი გაერთიანებით თითქმის აღმოფხვრილია ის მანკიერი მხარეები რაც ზოგადად ახასიათებს საარჩევნო სისტემებს თუმცა არც უარყოფითი მოვლენების ნაკლებობას განიცდის შერეული სისტემა.

<sup>26</sup> [http://www.parliament.ge/files/1055\\_16721\\_957521\\_saarchevno\\_sistemebi.pdf](http://www.parliament.ge/files/1055_16721_957521_saarchevno_sistemebi.pdf)

<sup>27</sup> [http://www.parliament.ge/files/1055\\_16721\\_957521\\_saarchevno\\_sistemebi.pdf](http://www.parliament.ge/files/1055_16721_957521_saarchevno_sistemebi.pdf) (გვ-12-13)

ვცადე ლაკონურად დამეხასიათებინა საარჩევნო სისტემების მართლაც მინიმალური მახასიათებლები, საკითხი ფართოდ და დაწვრილებით აქვს შესწავლილი და გამოქვეყნებული, პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის, კანონშემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფის განყოფილებას.<sup>28</sup>

რაც შეეხება ბიკამერალიზმს ცხადია, რომ ერთობ რთული და საკამათოა თუ რომელი სისტემაა მისაღები ბიკამერალიზმისათვის. ვინაიდან პირველ რიგში უნდა არსებობდეს პოლიტიკური ნება ჩატარდეს მართლაც დემოკრატიული არჩევნები, ყოველგვარი გარე თუ შიდა ზეგავლენისა და პროცესში ჩარევის გარეშე, არ გამოიყენონ საარჩევნო სისტემის ნაკლი პოლიტიკური ინტრიგებისა და სასურველი შედეგების მისაღწევად.

ბიკამერალიზმი თავისი ბუნებით როგორც წესი იყენებს შერეულ სისტემას არჩევნების თვალსაზრისით, მათ შორის არჩევნებისგან დამოუკიდებელ ცალკე მდგომ მექანიზმს დანიშვნის პრინციპს, მაგ: პრეზიდენტის მიერ სენატორების გარკვეული რაოდენობით დანიშვნა.

---

<sup>28</sup> [http://www.parliament.ge/files/1055\\_16721\\_957521\\_saarchevno\\_sistemebi.pdf](http://www.parliament.ge/files/1055_16721_957521_saarchevno_sistemebi.pdf)

## 2.3. გარემოებები რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის

### ბიკამერალიზმთან.

არაერთი წინააღმდეგობა იქმნება ორპალატიანი სისტემის, როგორც სახელმწიფოს მართველობის ფორმის სახით დანერგვისას, არსებობს ისეთი შიდა თუ გარე ფაქტორები რაც აუცილებელად ანგარიშ გასაწევი ხდება, პირველ რიგში ეს პოლიტიკური ნება, რომლის რეალური მიზანი უნდა იყოს, დაინერგოს აღნიშნული ბიკამერალური საპარლამენტო სისტემა.

ასეთი განცხადების გაკეთების საფუძველს ლოგიკური ანალიზის გარდა ის ფაქტიც გვაძლევს რომლის წინაშეც რეალურად საქართველო დგას , საქართველომ ბოლო ოცწლეულის განმავლობაში ვერ შეძლო შეექმნა შესაბამისი პირობები ორპალატიანი სისტემის დასანერგად.

ამის მიზეზი კი სხვადასხვა რამ იყო, პოლიტიკური ნება არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ განხორციელებულიყო შესაბამისი ცვლილებები ვინაიდან საქართველოს ტერიტორია ოკუპირებული იყო, 1995 წლისათვის კონსტიტუციაში ჩაიწერა შესაბამისი პირობების აღდგენის შემდეგ გადაწყდება ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხი და პარლამენტი გადავა ახალ ფორმატზე ორპალატიან სისტემაზე „აღნიშნულ საკითხზე უკვე ვისაუბრეთ დაწვრილებით, ამიტომ საუბარს ტერიტორიული მოწყობის მიმართულებით გავაგრძელებ, როგორც ზურაბ მაჭარაძე თავის დისერტაციაში აღნიშნავს: [ტერიტორიული საკითხი არ დაუკავშირო ბიკამერალიზმს ეს ძალიან ძნელია]<sup>29</sup> და ამასთან კონსტიტუციის ძველი რედაქციის ტერმინი შესაბამისი პირობები მართლაც მრავალი ინტეგრეტაციის საშუალებას იძლევა და მასში მხოლოდ ტერიტორიის როგორც საქართველოს ოკუპირებული მიწის ნაწილის დაბრუნება არ იგულისხმება ცხადია აღნიშნულ ტერმინში სხვა ფაქტორებიც მოიაზრება თუნდაც მათ შორის ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე ხელისუფლების დანაწილების პრინციპებიდან გამომდინარე მასში ცვლილებების აუცილებლობისა და სხვა რიგი გარემოებებისა რაც პირდაპირ კავშირშია

<sup>29</sup> ზურაბ მაჭარაძე, დისერტაცია, მთავრობის საქმიანობის საპარლამენტო კონტროლი. ქ.თბილისი 2017წ. გვ(193-194)

სახელმწიფო მოწყობასთან, ერთ-ერთი ასეთი საკითხი თუნდაც გამოცდილებაა, საქართველო ნამდვილად არის მსოფლიოს ერთ-ერთი უხუცესი სახელმწიფო თუმცა ქვეყნის ისტორიას თუ გადავხედავთ ნათლად დავინახავთ, რომ ქვეყანას მონარქიულ მართველობაში აქვს გამოცდილება და მე-20 საუკუნიდან იწყება ასე თუ ისე თანამედროვე სახელმწიფოდ გარდაქმნა და ქვეყანაში თანდათან იქმნება კონსტიტუცია, პარლამენტი და ყალიბდება დემოკრატია.

აღნიშნული საკითხი ერთობ საინტერესოა იმ მხრივაც, რომ თუ ბიკამერალიზმის ხელშემშლელ გარემოებებზე ვისაუბრებთ, მაშინ გამოცდილების სახით მონარქიული მართველობის გამოცდილება აქვს საქართველოს და სულ რაღაც ბოლო ოცწლეულია მეტნაკლებად სტაბილური საპარლამენტო და საპრეზიდენტო მართველობით იჩენს თავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან განსხვავებით საქართველო ნამდვილად ახალბედაა ამ თვალსაზრისით.

ანდრამ შაიო თავის ნაშრომში,, ხელისუფლების თვითშეზღუდვა” აღნიშნავს: [პარლამენტის მეორე პალატის კონსტიტუციურობა არაფედერალურ ქვეყნებშიც კი არ არის საკმაოდ. პარლამენტის დაყოფა საკანონმდებლო ორგანოს ძალაუფლებას აწონასწორებს და კანონპროექტის მრავალჯერადი წაკითხვის მსგავსად, სიფრთხილესა და დაკვირვებულობას უწყობს ხელს. გარდა ამისა, დაყოფით ნაჩქარევი გადაწყვეტილების ალბათობა მცირდება.

პარლამენტის ორპალატიანობა პარტიების გავლენას ამცირებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა პალატების წევრებს ორი სხვადასხვა სისტემით ირჩევენ. პარლატების წევრთა ვადები უნდა განსხვავდებოდეს,რათა ერთ პალატაში რომელიმე პარტიის დომინირებას სხვა პარტიის დომინირება დაუპირისპირდეს, რაც ფედერაციულ სახელმწიფოებშიც კი პარლამენტის ორ პალატად დაყოფის მიზანია.]<sup>30</sup>

სწორედ ასეთი მახასიათებელი ნიშნები ხდება დამაბრკოლებელი გარემოება ბიკამერალიზმის დასამკვიდრებლად რადგან პოლიტიკურად ძლიერ გუნდს არ სურს დაკარგოს გავლენები.

<sup>30</sup> ანდრამ შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, ქ.თბილისი, 2003 წ გამომცემლობა „სეზანი“ (გვ.188-189).

საინტერესო მოსაზრებას ავრცელებს ბექა ქანთარია თავის ნაშრომში: [ბოლო დროს საქართველოში შეიმჩნევა სამეფო გვარის - ბაგრატიონებისა და თავადაზნაურთა დიდი მოძრაობა კონსტიტუციური მონარქიის აღდგენის მიზნით. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ისტორიაში მათ განსაკუთრებულ როლსაც, შესაძლებლად მიმაჩნია მათი წარმომადგენლობის არსებობა პარლამენტის ზედა პალატაში]<sup>31</sup>

სამართლიანი პოზიციაა, თუმცა ბიკამერალიზმის დანერგვის ყველაზე დიდ წინააღმდეგობად მაინც სახელმწიფო მართველი პოლიტიკური ძალის ნებაზეა დამოკიდებული, რადგან ორპალატიანი სისტემა ძალაუფლების კიდევ უფრო დანაწილებას გულისხმობს და თავისმხრივ სწორედ ემსახურება იმას, რომ პოლიტიკური მართველობის ამა თუ იმ წარმომადგენლებს ჰყავდეთ შიდა საზედამხედველო რგოლი რომელიც როგორც წესი საკმაოდ ძლიერი უფლება მოვალეობებით არის წარმოდგენილი და თავის მხრივ ამაღლებს საზოგადოების ინტერესების დაცვას რაც პირდაპირ დემოკრატიის საზრდოა.

ბიკამერალიზმის მოწინააღმდეგეები ევროპის პოლიტიკურ სივრცეში მთავარ არგუმენტად მის ფინანსურად მაღალ ხარჯებსა და ამასთან დამატებით რესურსს ასახელებენ ,რომლის გარეშეც ზედა პალატის ფუნქციონირება პრაქტიკულად შეუძლებელია.

ხოლო მეორე უარყოფით ნიშნად სახელდება საკანონმდებლო და პოლიტიკური საქმიანობის შეფერხება და დროის გაჭიანურება, რაშიც ცხადია ზედა პალატა სახელდება როგორც მთავარი დამაბრკოლებელი ძალა.

საბოლოო ჯამში მარტივი ენით, რომ ვთქვათ ორპალატიანი სისტემის დანერგვა შეუძლია სახელმწიფოს მართველ პოლიტიკურ ძალას შესაბამისად თუ პირველ რიგში მისი ნება არ იქნება წარმოდგენილია მსგავსი რეფორმის ჩატარება ამის მკაფიო მაგალითი 2017 წლის 1 მაისი გახლავთ, როდესაც პარლამენტის 108 წევრმა შეიტანა კანონპროექტი<sup>32</sup> რომლითაც გათვალისწინებული იყო კონსტიტუციაში ცვლილებები, მათ შორის საარჩევნო სისტემისა და პარლამენტის შესახებ ცვლილებები შეეხო ბიპარლამენტარიზმსაც,

<sup>31</sup> ბექა ქანთარია ორპალატიანი სისტემის პერსპექტივა საქართველოში 2014 წ.

<sup>32</sup> <https://info.parliament.ge/#law-drafting/13831>



თუმცა არ მომხდარა მისი დანერგვის მცდელობა, უფრო მეტიც ორპალატიანი სისტემის ავკარგიანობის განხილვაც კი არ ყოფილა რაც ხაზს უსვამს საკითხის მიმართ გულგრილობის გამოჩენას ვინაიდან ის დღესაც რჩება აშკარა და ღიად მოუგვარებელ პრობლემად და ყველაზე უარესი ისაა, რომ სახელმწიფო არ ცდილობს გადაჭრას შეისწავლოს და გამოარკვიოს არსებობს თუ არა შანსი დაინერგოს ესოდენ სასურველი სისტემა, რომელზეც ქართულმა სახელმწიფომ არ თქვა უარი უკვე მეოთხედი საუკუნის განმავლობაში „უამრავი ცვლილების მიუხედავად არჩევანს აჩერებს მასზე, თუმცა პასუხი კითხვაზე: მართლაც სავალდებულოა ტერიტორიული მთლიანობა ბიკამერალიზმისათვის?; მაინც პასუხ გაუცემელია.

ცხადია მხოლოდ პოლიტიკური ნება არ იქნება საკმარისი ბიკამერალიზმის დასანერგად რადგან აღნიშნულ სისტემას ახლავს თანმდევი საკითხები რომელიც შემდგომში პირდაპირ დღისწესრიგში დადგება რომელიც თავისმხრივ ხელშემშლელ გარემოებებად გვევლინება , ასეთ საკითხებად შეიძლება ჩაითვალოს მთავრობის ფორმირების, პროცესში მონაწილე პალატების და მონაწილეობის ფორმები, მინისტრების ინდივიდუალური პასუხისმგებლობისა და უნდობლობის საკითხები და სხვა ყველა ის უფლება მოვალეობები რომელიც პარლამენტის ფუნქციებში შედის შესაბამისად პოლიტიკურ ნება არ არის საკმარისი.

ბიკამერალიზმის დანერგვის შემთხვევაში საკითხი ფუნდამენტალურ დონეზე უნდა იქნეს შესწავლილი გაანალიზებული სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე მათ შორის მათი გამოცდილება პრობლემები რომელიც ახასიათებს და უპირატესობები რომელიც ახლავს სისტემას უნდა მოერგოს ქართულ რეალობას, ვინაიდან საქართველოში მეტ ნაკლებად პოლიტიკური სტაბილურობა შეიმჩნევა და ქვეყანა აშკარად დგას განვითარების გზაზე, ბიკამერალიზმის დანერგვით აღნიშნული განვითარების გზა უფრო მარტივი იქნება.

ამის თქმის საფუძველს პირველ რიგში ბიკამერალიზმისათვის როგორც მართველობის ფორმისათვის დამახასიათებელი კონტროლისა და პოლიტიკურ აქტივობაში საზოგადოების უფრო მაღალი ჩართულობის მახასიათებელი იძლევა, ვინაიდან წარმოუდგენელია იმ საზოგადოების განვითარება, რომელიც გარიყულია სახელმწიფო მართველობისგან და მხოლოდ ერთი ან რამდენიმე პოლიტიკური მართველის ხარჯზე იმედოვნებს ქვეყნისა და საზოგადოების განვითარებას, ასეთ საზოგადოებას მინიმალური შანსი აქვს, იყოს წარმატებული სახელმწიფოს მკვიდრი.

ბიკამერალიზმი ტერიტორიული მოწყობასთან პირდაპირ კავშირშია, ჩვენს შემთხვევაში აღნიშნული საკითხი გვევლინება დამაბრკოლებელ გარემოებად, ერთი ის რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ხელყოფილია ოკუპაციის გზით, და მეორე ის, რომ დღეს საქართველოს კონსტიტუციაში ორპალატიანი სისტემის დანერგვისათვის წინაპირობად ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა მითითებული.

ჩემი სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, გავარკვიო შესაძლებელია თუ არა ქვეყნის ოკუპაციის პირობებში, დაინერგოს ბიკამერალიზმი, ასეთი დაინტერესება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ თუ ოკუპაციის პირობებში ქვეყანა საპარლამენტო მართველობის ფორმით არის დაკომპლექტებული და ის ერთპალატიანი სისტემით იმართება რატომ არ შეიძლება ანალოგიურ ვითარებაში დაინერგოს ორპალატიანი სისტემა.

## თავი III. ორპალატიანი სისტემის მართვისა და მოწყობის საკითხები.

### 3.1. უფლებამოვალეობების განაწილება ორპალატიან სისტემაში

უფლება მოვალეობების განაწილება ეს იგივეა რაც ხელისუფლების დანაწილება, საყოველთაოდ ცნობილია დანაწილების სამსაფეხუროვანი სისტემა: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო.

აღნიშნული დანაწილება სხვადასხვა სახისაა და მისი ფორმირება ხშირ შემთხვევაში კავშირშია ისტორიულ წარსულთან, თუ როგორი პოლიტიკური კულტურის მატარებელია ესა თუ ის ქვეყანა შესაბამისად მას მსგავსი მიდგომა აქვს ხელისუფლების დანაწილებასთან, თუმცა არის გამონაკლისები რიგ ქვეყნებს შორის რომლებიც განსხვავებულად მიუდგნენ საკითხს.

ძალაუფლებისა და ფუნქციების დანაწილება პირველ რიგში ხელს უწყობს საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინსტიტუტების განვითარებას, ვინაიდან არ შეიძლება ერთ ხელში იყოს ყველანაირი ფუნქცია, ერთის მხრივ ეს არ ექვემდებარება ლოგიკას, როდესაც კონტროლს უწევს ერთი ძალა მთელ სახელმწიფო ინსტიტუტს, და მეორეც ისტორიული გამოცდილებაც ნათლად ასახავს თუ რა შედეგით სრულდება ასეთი შემთხვევები, ფაქტობრივად მყარდება დიქტატურა რომელიც შემდგომში იწყებს არა საზოგადოებაზე ზრუნვას არამედ პირიქით ცდილობს საზოგადოებას მოუსპოს ყოველგვარი შესაძლებლობა იქონიოს საკუთარი შეხედულება და საშუალება მონაწილეობა მიიღოს ამა თუ იმ პროცესში.

სწორედ ამიტომ საკანონმდებლო ხელისუფლება ქმნის კანონს, სასამართლო (იყენებს) უფარდებს მას, და აღმასრულებელი აღასრულებს.

ერთი შეხედვით ასეთი მარტივი დაყოფის მიღმა უამრავი რთული კომბინაციაა რომლის მეშვეობითაც ინსტიტუტებს ურთიერთ ზეგავლენა აქვთ ერთმანეთზე და მათი მეშვეობით კონტროლს ახორციელებენ მიმდინარე პროცესებზე.

ზურაბ მაჭარაძე თავის დისერტაციაში აღნიშნავს სამ მოდელს, რომელიც დამახასიათებელია სხვადასხვა ქვეყნებისათვის:

[საპრეზიდენტო მოდელი (მაგალითად აშშ) სადაც მთავრობა პრეზიდენტის დაქვემდებარებული ორგანოა.

შერეული ანუ ბიციფალური მოდელი, რომლის ფარგლებში მთავრობა აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს პრეზიდენტთან ერთად (საფრანგეთი, ფინეთი) და ეგრეთ წოდებული კაბინეტური მოდელი, როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო არის მთავრობა, ხოლო პრეზიდენტს ან მონარქს მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციები აქვს მაგალითად (გაერთიანებული სამეფო, გერმანი და სხვა.)]<sup>33</sup>

საინტერესოდ აღნიშნავს აშშ-ს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი აკაკი აბზიანიძე [აშშ-ის კონსტიტუციის მამებმა ვეტოს და იმპიჩმენტის ინსტიტუტების შექმნით შეძლეს შეკავება და გაწონასწორების მდგომარეობის შენარჩუნება აღმასრულებელ საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას შორის; ამერიკული იდეის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ხელისუფლების ყოველ შტოს მიეცა კონსტიტუციით განსაზღვრული ძალაუფლება და მექანიზმები წინააღმდეგობა გაუწიოს ხელისუფლების სხვა შტოს შესაძლო არა-ლეგიტიმურ ქმედებას; პრეზიდენტი აღიჭურვა შეფარდებითი ვეტოს უფლებით საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაზე ზემოქმედების მექანიზმით, ხოლო თავისმხრივ კონგრესი პრეზიდენტის გადაყენების იმპიჩმენტის განსაკუთრებული უფლებით; საბოლოო ჯამში, ვეტოსა და იმპიჩმენტის ინსტიტუტები ქმნის ურთიერთ კონტროლისა და ურთიერთზემოქმედების შესაძლებლობებს, განაპირობებს შეკავებისა და გაწონასწორების მდგომარეობას, გამორიცხავს ავტორიტარულ გადაწყვეტილებებს პრეზიდენტისა და კონგრესის მხრიდან, უზრუნველყოფს სასამართლოს დამოუკიდებლობას და რაც მთავარია, იძლევა ადამიანის

---

<sup>33</sup> ზურაბ მაჭარაძე, დისერტაცია, მთავრობის საქმიანობის საპარლამენტო კონტროლი. ქ.თბილისი 2017წ. (გვ 37)

სამოქალაქო, პოლიტიკური, რელიგიური, და სხვა ფუნდამენტური უფლებების მაქსიმალურად დაცულობის გარანტიას.]<sup>34</sup>

თუ დავაკვირდებით საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ რეალობას გამოდის, რომ კაბინეტური სისტემა გვაქვს რადგან პრეზიდენტის ფუნქცია მოვალეობები საკმაოდ შემცირებულია და მას სახელმწიფოს მეთაურის როგორც მთავარსარდალის ფუნქციები აქვს სხვა დანარჩენთან ერთად, თუმცა აღმასრულებელი მთავრობა მას არ ექვემდებარება და არც პარალელურ რეჟიმში აქვს განსაკუთრებული ზეგავლენა თუ არ ჩავთვლით პარლამენტის დათხოვნის უფლებას გარკვეულ შემთხვევებში.

რადგან მთავრობას ხელმძღვანელობს პრემიერ მინისტრი, შესაბამისად ასე თუ ისე კაბინეტური რეჟიმის ფორმატში იმყოფება დღევანდელი ხელისუფლება რადგან საქართველოში პარლამენტი და მთავრობა უფრო ფართო უფლება მოვალეობებითაა წარმოდგენილი ვიდრე პრეზიდენტის ინსტიტუტი.

საკმაოდ ვრცლად და საინტერესოდ განიხილავს ოთარ მელქაძე 1996 წელს გამოცემულ სახელმწიფო კონტროლის შესახებ საკუთარ ნაშრომში, აღნიშნულ საკითხს, სადაც დეტალურად ჩამოთვლის კონტროლის სახეებსა და მიმართებებს აღნიშნულის შესახებ ზურაბ მაჭარაძეც საუბრობს და უთითებს საკუთარ დისერტაციაში სადაც განხილული სახელმწიფო კონტროლის კლასიფიცირება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით.<sup>35</sup>

მაგალითად:

1. განხორციელების დონისა და ფარგლების მიხედვით განასხვავებენ: სახელმწიფო, სახელმწიფოთაშორის და საზოგადოებრივ კონტროლს.
2. სუბიექტის სპეციპიკის მიხედვით: საპარლამენტო, საკონსტიტუციო, სასამართლო, საფინანსო და საბანკო კონტროლს.
3. სუბიექტების უფლებამოსილებების მიხედვით: ზეუწყებრივი, საუწყებათაშორისო, უწყებრივ და შიდასამეურნეო კონტროლს.

<sup>34</sup> კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი და საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ქ.თბილისი 2016 წ (გვ. 126-133).

<sup>35</sup> მელქაძე ო., სახელმწიფო კონტროლი, თეორია, პრაქტიკა, პერსპექტივა, პოლიტიკურ-სამართლებრივ ლიტერატურათა სერია, წიგნი IV, გამომცემლობა „უფლება“ თბილისი 1996, (გვ. 38-43)

4. სუბიექტისა და ობიექტის დამოკიდებულების მიხედვით: შინაგან და გარეგან კონტროლს.
5. მართველობითი საქმიანობის სფეროების მიხედვით: საერთო, სპეციალიზირებულ, ადგილობრივ და ცენტრალიზირებულ კონტროლს.
6. ობიექტის მოცვის სისრულის მიხედვით: ფაქტის მიხედვით კონტროლს, თემატურ და კომპლექსურ კონტროლს.
7. განხორციელების დროის მიხედვით: წინასწარ, მიმდინარე და შემდგომ კონტროლს.]<sup>36</sup>

კონტროლის სხვა სახეებიც არსებობს რომელიც საკმაოდ ფართოდ და ეფექტურად გამოიყენება: მაგალითად მთავრობისათვის კითხვით მიმართვა, საგამომიებო კომისიების შექმნა, მთავრობის პროგრამებზე ნდობისა და უნდობლობის გამოცხადება, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება და სხვა.

როგორც ოთარ მელქაძე აღნიშნავს: [პარლამენტის მიერ სახელმწიფო აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობაზე კონტროლი ფაქტობრივად მისი ფორმირებიდან იწყება. საპარლამენტო რესპუბლიკებში, სადაც მთავრობა გამოყოფილია სახელმწიფო მეთაურისგან, პარლამენტი უშუალოდ მონაწილეობს მთავრობის მეთაურის დანიშვნაში და კაბინეტის ფორმირებაში.

საპრეზიდენტო რესპუბლიკაში კაბინეტის წევრები ინიშნებიან არა ერთპიროვნულად პრეზიდენტის მიერ, არამედ სენატის რჩევითა და თანხმობით, სენატივე ამტკიცებს სამთავრობო უწყებათა ხელმძღვანელებს.

პრაქტიკულად როდესაც პრეზიდენტი სენატს სთავაზობს რომელიმე კანდიდატურას, მას განიხილავენ შესაბამის მუდმივ კომისიაში, ამასთან სენატს შეუძლია დაამტკიცოს ან არ დაამტკიცოს წარმოდგენილი კანდიდატურა, თუმცა მას უფლება არ აქვს წამოაყენოს სხვა კანდიდატურა.]<sup>37</sup>

<sup>36</sup> ზურამ მაჭარაძე, დისერტაცია, მთავრობის საქმიანობის საპარლამენტო კონტროლი. ქ.თბილისი 2017წ. (გვ. 38-40)

<sup>37</sup> მელქაძე ო., სახელმწიფო კონტროლი, თეორია, პრაქტიკა, პერსპექტივა, პოლიტიკურ-სამართლებრივ ლიტერატურათა სერია, წიგნი IV, გამომცემლობა „უფლება“ თბილისი 1996, (გვ. 44)

აქვე უნდა ითქვას ის, რომ მაგალითად ამერიკის შეერთებულ შტატებში, სენატისგან უარის თქმა იშვიათია ვინაიდან იგულისხმება, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება პრეზიდენტს აქვს ჩაბარებული და კაბინეტის წევრების შერჩევა მისი პასუხისმგებლობის სფეროა.<sup>38 39</sup>

ზემოთ აღნიშნული კონტროლის მექანიზმებისა და ხელისუფლების დანაწილების სხვადასხვა მაგალითის საერთო ანალიზიდან, ნათლად იკვეთება ის გარემოება, რომ ორპალატიანი სისტემა უფრო მეტად ორიენტირებულია სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ურთიერთ კონტროლისა და პოლიტიკურ-სამართლებრივ საქმიანობის სტაბილურობაზე ვიდრე უბრალოდ ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლობაზე.

---

<sup>38</sup> დემეტრაშვილი ა., გოგიაშვილი გ., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2016, გამომცემლობა, იურისტთა სამყარო” (გვ. 329)

<sup>39</sup> ზურამ მაჭარაძე, დისერტაცია, მთავრობის საქმიანობის საპარლამენტო კონტროლი. ქ.თბილისი 2017წ. (გვ. 39)

### 3.2. ორპალატიანი სისტემა კრიზისის დროს.

სახელმწიფოს მართველობის პროცესში არის შემთხვევები როდესაც კრიზისული მდგომარეობა ყალიბდება, აღნიშნული შეიძლება დროში გაწელილი პროცესი აღმოჩნდეს, კრიზისი ქვეყნის განვითარებას უშლის ხელს და სავალალო შედეგებამდეც შეიძლება მიიყვანოს ქვეყანა.

თანამედროვე მსოფლიოს პირობებში ხშირად კრიზისი ხელოვნურადაა გამოწვეული რადგან აღნიშნული მეთოდით, ზოგჯერ ხდება არასასურველი პოლიტიკური ძალის დისკრეტიტაცია ან და საერთოდაც ცვლილება, აღნიშნული კი რათქმუნდა პირდაპირ ზიანს აყენებს სახელმწიფოს იმიჯსა და ინტერესებს.

სტანდარტულ შემთხვევებში კრიზისის წარმოქმნის საფუძველი სხვადასხვა მიზეზი შეიძლება იყოს, იქნება ეს არაკომპეტენტური გადაწყვეტილებების მიღება თუ პირიქით ამა თუ იმ საკითხის იგნორირება, ან და ნაკისრი მოვალეობებისათვის თავის ვერ გართმევა მაგ : ბიუჯეტის შეუსრულებლობა, მთავრობის არაკომპეტენტური წევრებით დაკომპლექტება, ქვეყნის ეკონომიკის ჩამოშლა, და სხვა.

საინტერესო მსჯელობა კრიზისთან მიმართებით განვითარებული, კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის მიერ გამოცემული ბიკამერალიზმის დილემებთან დაკავშირებით.

აღნიშნულ ნაშრომში კრიზისის მიმართ აღნიშნულია: [როდესაც არსებობს დაპირისპირება აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს შორის, ასეთ ვითარებაში სახელმწიფოს მეთაური, პრეზიდენტი, იძულებული ხდება ამოქმედოს არბიტრის ფუნქციები და კრიზისის დასაძლევად, დაითხოვოს წარმომადგენლობითი ორგანო ან და მისი ქვედა პალატა და ხელისუფლების სუვერენს-ხალხს მიმართოს ახალი არჩევანის გასაკეთებლად, ასეთ მოქმედებას „იმპიჩმენტი“ ეწოდება.

იმპიჩმენტს საინტერესოდ განმარტავს ევა გოცირიძე, თავის ნაშრომში („იმპიჩმენტის პროცედურები ამერიკის შეერთებულ შტატებში“) : [იმპიჩმენტი წარმოადგენს წარმომადგენლობითი, ხალხის წინაშე პოლიტიკურად ანგარიშვალდებული ხელისუფლების მიერ აღმასრულებელი და სასამართლო



ხელისუფლების მაღალ თანამდებობის პირთა ხელისუფლებიდან ჩამოცილების მექანიზმს მათ მიერ ჩადენილი დარღვევებისა თუ სხვა საქციელებისათვის, რომლების აშკარას ხდიან სახელისუფლო მოვალეობებთან მათ შეუსაბამობას. ტერმინი „იმპიჩმენტი“ (impeachment) წარმოდგება ინგლისური სიტყვიდან impede (წინააღმდეგობის გაწევა, ხელის შეშლა, დაკავება), რომლის ეტიმოლოგია, თავის მხრივ ეფუძნება ლათინურ სიტყვას impetere, რაც თავდასხმას, შეტევას ნიშნავს (მისი ფრანგული ანალოგია სიტყვა empêcher (თავიდან აცილება)), იმპიჩმენტის არს მისი მიზანდასახულობა განსაზღვრავს, რაც, თავისმხრივ, ხელისუფლების მიზნებით არის ნაკარნახევი. საზოგადოდ იმპიჩმენტის მექანიზმის ჩამოყალიბება, განპირობებულია განშტოებათა შორის ჰარმონიზაციით საჭიროებით. იმპიჩმენტი ასრულებს საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებათა გაკონტროლებისა და მათზე ზემოქმედების ფუნქციას: წარმოადგენს უმთავრეს დამაბრკოლებელ მექანიზმს საპრეზიდენტო ვეტოსა და სასამართლო კონტროლის საპასუხოდ. ]<sup>40</sup>

საკანონმდებლო ორგანოს დათხოვნის შემთხვევაში ქვეყანა შეიძლება დროებით საკანონმდებლო ინსტიტუტის გარეშე აღმოჩნდეს, რაც თავისთავად სახელმწიფოსათვის უამრავ პრობლემას ქმნის.]<sup>41</sup>

მართალია სახელმწიფოში კრიზისის შექმნის დროს სხვადასხვა პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ვნებათა ღელვა მოჭარბებულად იგრძნობა, თუმცა არ შეიძლება ცალსახად ნეგატიური როლი მიენიჭოს კრიზისულ სიტუაციებს ამა თუ იმ შემთხვევაში, ვინაიდან პირველ რიგში აღნიშნული ქვეყნის და ზოგადად პოლიტიკური კულტურისათვის დიდ გამოწვევასთან ერთად გამოცდილებაცაა და მეორეს მხრივ პასუხისმგებლობას იღებს ახალი პირი ან და პირთა ჯგუფი რომლებიც ცდილობენ მოაგვარონ საკითხი რომლის გამოც შეიქმნა კრიზისული მდგომარეობა.

<sup>40</sup> ევა გოცირიძე, იმპიჩმენტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქ.თბილისი, 2013წ. (გვ.32)

<sup>41</sup> კახი ყურაშვილი., კონსტანტინე ჩოკორაია., ანა ბუჩუკური., ბიკამერალიზმის დილემები. ქ.ბათუმი 2011წ. კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის მეცხრე გამოცემა. (გვ. 72-73)

[ბიკამერალური ხელისუფლება ასეთ დროს შედარებით დაზღვეულია საკანონმდებლო ინსტიტუტი შეზღუდულად მაგრამ მაინც ნარჩუნდება, საუბარია იმ გარემოებაზე, რომ როგორც წესი პრეზიდენტი ქვედა პალატის დათხოვნას ახორციელებს ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ზედა პალატას შეუძლია შეზღუდულად განახორციელოს ფუნქციონირება]<sup>42</sup>

აღნიშნული საკითხები წინადადების სახით წამოყენებულია: (კახი ყურაშვილი., კონსტანტინე ჩოკორაია., ანა ბუჩუკური., ნაშრომში ბიკამერალიზმის დილემები. ქ.ბათუმი 2011წ. კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის მეცხრე გამოცემა).

[საქართველოში ბიკამერალური პარლამენტის ფორმირების შემთხვევაში მნიშვნელოვანი იქნება საკანონმდებლო პროცესის ბიკამერალური სისტემის განხორციელების ყველაზე ეფექტური კონსტიტუციური მოდელის შემუშავება.

ასეთად მიგვაჩნია საკითხების სავალდებულო წესით განხილვა ორივე პალატის მხრიდან, რომელიც კონსტიტუციით იქნება გაწერილი, ეს საკითხები შეიძლება იყოს:

- კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვა, კონსტიტუციური კანონების მიღება.
- კონსტიტუციური შეთანხმებების დამტკიცება.
- საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირება, დენონსირება და გაუქმება.
- ორგანული კანონების მიღება.
- კანონის მიღება თუ ის ეხება სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობისა და ადგილობრივი თვითმართველობის საკითხებს.
- ბიუჯეტის შესახებ კანონის მიღება.]<sup>43</sup>

---

<sup>42</sup> კახი ყურაშვილი., კონსტანტინე ჩოკორაია., ანა ბუჩუკური., ბიკამერალიზმის დილემები. ქ.ბათუმი 2011წ. კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის მეცხრე გამოცემა. (გვ. 72-73)

<sup>43</sup> კახი ყურაშვილი., კონსტანტინე ჩოკორაია., ანა ბუჩუკური., ბიკამერალიზმის დილემები. ქ.ბათუმი 2011წ. კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის მეცხრე გამოცემა(გვ. 76).

ზურაბ მაჭარაძე საკუთარ დისერტაციაში აღნიშნავს: [ორპალატიანი სისტემისათვის კიდევ ერთი საინტერესო მახასიათებელი ნიშანია პასუხისმგებლობის სახეები საუბარია მთავრობის ინდივიდუალურ და სოლიდალურ პასუხისმგებლობაზე, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დროს რათქმაუნდა ერთი კონკრეტული მინისტრის საკითხი განიხილება რომელიც პასუხისმგებელია საკუთარ სამინისტროს საქმიანობაზე ხოლო სოლიდარულის დროს ზოგადად მთავრობის, საქმიანობის შესაბამისად დგება მათი საერთო პასუხისმგებლობა სოლიდალური სახით.]<sup>44</sup>

ასევე საუბრობს ავსტრიის ფედერალური მთავრობისა და პოლონეთის რესპუბლიკაში მოქმედ მსგავს სისტემაზე რომლებსაც საერთო ნიშანი აქვთ.<sup>45</sup>

საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს, ევა გოცირიძე, იმპიჩმენტის პოლიტიკურ ბუნებასთან დაკავშირებით 2015 წელს, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და სასამართლოს მოსამართლეთა ასოციაციის ჟურნალში, „მართმსაჯულება და კანონი“ (#1(44)'15.) ქალბატონი ევა გოცირიძის პოზიციით: [ბუნდოვანია ვითარება,, დანაშაულის ნიშნებთან” მიმართებით, თუ კანონის ტექსტს სიტყვა სიტყვით გავიგებთ, გამოდის რომ სასამართლოს არ ევალება შეამოწმოს ბრალდების საფუძვლიანობა და იგი მხოლოდ სამართლებრივი შეფასებით შემოიფარგლება რომელიც წარდგინების ავტორს (და არა საკუთვრივ სასამართლოს) დადგენილად მიაჩნიათ. ესე იგი, საქმე გვაქვს სასამართლოს მხრიდან სხვათა მიერ სისხლისამართლებრივი პროცესის დაუცველად გამოკვლეული და დადგენილად ნაგულისხმევი, ანუ სავარაუდოდ ჩადენილი ქმედების სამართლებრივ შეფასებასთან, ფაქტობრივად-ავსტრაქტულ სისხლისამართლებრივ კვალიფიკაციასთან, რომელსაც დიდი ალბათობით

---

<sup>44</sup> ზურამ მაჭარაძე, დისერტაცია, მთავრობის საქმიანობის საპარლამენტო კონტროლი.

ქ.თბილისი 2017წ. (გვ. 127) <http://www.camera.it/files/regolamento/regolamento.pdf>

<sup>45</sup> საზღვარგარეთის კონსტიტუციები, (მეორე გადამუშავებული გამოცემა), კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმძღვანელოსათვის“ შემდგენთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი, ვ გონაშვილი, თბილისი 2008 წ, (გვ 136).

ასევე იხილეთ, პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, მუხლი-157. **THE CONSTITUTION OF THE REPUBLIC OF POLAND**

**OF 2nd APRIL, 1997 .**

<http://www.sejm.gov.pl/prawo/konst/angielski/kon1.htm>

შესაძლოა მოჰყვეს სავსებით კონკრეტული შედეგი, კონკრეტული თანამდებობის პირის თანამდებობიდან გადაყენება.]<sup>46</sup>

ყურადღებით თუ დავაკვირდებით, დღესაც იგივე შეიძლება ითქვას, რადგან საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლი რომელიც ჩამოთვლის იმ პირებს ვისი ინპიჩმენტის უფლება აქვს პარლანენტს და მიუთითებს: კონსტიტუციის დარღვევის ან ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობას იმპიჩმენტის საფუძველად.<sup>47</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, რომლის მეშვეობითაც შეზღუდულია საკონსტიტუციო სასამართლო, კონკრეტულად საუბარია შემდეგ დანაწესებზე , ამ კანონის მე-19 მუხლის „თ“ ქვეპუნქტით უფლება აქვს სამართლებრივი შეფასება გააკეთოს. მაგრამ ის ამავე კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით: სასამართლო აფასებს მხოლოდ იმ ქმედებას რომელიც მიჩნეულია იმპიჩმენტის საფუძველად. ცხადია აღნიშნულში დევს გარკვეული ლოგიკა, რომლის მიხედვით სასამართლომ უნდა იმსჯელოს კონკრეტულ საკითხზე რაც მის წინაშე დადგა, მაგრამ თუ დავაკვირდებით დავინახავთ, რომ სასამართლო საჭიროზე მეტად შეზღუდულია საკითხთან მიმართებაში.<sup>48</sup>

ერთიმხრივ ნამდვილად არის გარკვეული ბუნდოვანება კონსტიტუციისა და საკონსტიტუციო კანონის დანაწესებში თუ სასამართლომ სამართლებრივი შეფასება უნდა გააკეთოს მაშინ მას მინიმუმ კონსტიტუციის საფუძველზე დაცული ადამიანის უფლებების შესაბამისი პროცედურით მოპოვებული მტკიცებულებები და ფაქტები მაინც უნდა განიხილოს, რადგან როდესაც საუბარია პასუხისმგებლობაზე ეს თავისმხრივ გულისხმობს სამართლიანი პროცესის უფლებას .<sup>49</sup>

---

<sup>46</sup> იხ. ევა გოცირიძე, იმპიჩმენტის პოლიტიკურ ბუნებასთან დაკავშირებით 2015 წელს, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და სასამართლოს მოსამართლეთა ასოციაციის ჟურნალი, „მართმსაჯულება და კანონი“ (#1(44)'15.) (გვ. 23-24).

<sup>47</sup> საქართველოს კონსტიტუციის 48-მუხლი.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>

<sup>48</sup> იხ. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ. მუხლები 19. 26. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32944%23?publication=28>

<sup>49</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 და მე-11 მუხლების.

ჩემი აზრით აღნიშნული ბუნდოვანების გამოსწორება შესაძლებელია თუ სავალდებულო იქნება სპეციალური საგამომიებო კომისიის შექმნა რომელიც ჩაატარებს შესაბამის მოკვლევას საკითხთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მიღებულ ინფორმაციას მტკიცებულებებსა და ფაქტებს გადასცემს საკონსტიტუციო სასამართლოს, შესაბამისად ის შეაფასებს სამართლებრივად მისთვის წარდგენილ საქმეს.

საგამომიებო კომისია მოხსნის იმის განცდას, რომ იმპიჩმენტის პროცედურა შეიძლება ბოროტად იქნეს გამოყენებული ან დაარღვიოს იმ პირის უფლებები ვის წინააღმდეგაც დაწყებულია იმპიჩმენტის პროცედურა.

### 3.3. რა უპირატესობები აქვს ბიკამერალიზმს და რაგანსხვავებაა

#### პალატებს შორის?

ჩვენ მეტ-ნაკლებად ფართოდ ვისაუბრეთ ბიკამერალიზმზე, შესაბამისად შევძლებთ დავახასიათოთ ორპალატიანი სისტემისათვის დამახასიათებელი უპირატესი ნიშნები.

ბიკამერალიზმი როგორც საპარლამენტო მართველობის ფორმა მნიშვნელოვანი განსხვავებებით ხასითდება სხვა მართველობის ფორმებისაგან, როგორც უკვე აღნიშნეთ აღნიშნულს საფუძველი ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ჩაეყარა სადაც, რომსა და საბერძნეთში ირჩევდნენ კონკრეტულ პირს ან და პირთა ჯგუფს, რომლებიც თავისმხრივ ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, იქნებოდა ეს სამოსამართლო საქმიანობა თუ სხვა, რათქმაუნდა ანტიკურ ხანაში არსებულ საზოგადოებრივი აქტივობა არ გახლდათ ბიკამერალიზმი, ის მხოლოდ დემოკრატიის დამახასიათებელი ნიშანი იყო სწორედ დემოკრატიულობის გამოხატულების გამო, ჰპოვა საკუთარი გზა, სახეცვლილი მაგრამ მაინც დაიმკვიდრა თავი თანამედროვე სამართლის სისტემაში რომლის ფესვებიც ანტიკური ხანისაა და სწორედ მისგან საზრდოებს.<sup>50</sup>

ბიკამერალიზმი საპარლამენტო მართველობის ერთ-ერთი სახეა რომელსაც საფუძველი ანგლოსაქსურ სამართალში ჩაეყარა როგორც ორპალატიან სისტემას, ეს განაპირობა მონარქიული მართველობისათვის დამახასიათებელმა განუსაზღვრელმა ძალაუფლებამ, თავიდან შეიზღუდა მონარქია პარლამენტით, შემდეგ პარლამენტში გამოჩნდნენ სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები რომელთა აზრის გათვალისწინებაც მოუწიათ, აღნიშნულის შემდეგ კი უფლება მოვალეობების გადანაწილების გზით გაიყო ძალაუფლება და შეიქმნა ბიკამერალიზმი.

თუმცა თანამედროვე ბიკამერალიზმი მაინც სხვა სახითაა წარმოდგენილი დღეს ვინაიდან მისი განმასხვავებელი ნიშანი მდგომარეობს საზოგადოების,

<sup>50</sup> ალექსანდრე ტალიაშვილი, ანტიკური ქვეყნების სასამართლო და პროცესი, თბილისი 2009. წ (გვ 9-32).

ვალერიან მეტრეველი, რომის სამართალი, თბილისი 2005. წ (გვ 118-135).

როგორც ხელისუფლების უშუალოდ და პირდაპირი ინტერესების დაცვაში, ვინაიდან საარჩევნო სისტემისათვის დამახასიათებელი სპეციფიურობით პირდაპირ ირჩევენ სენატორებს ან სხვა სახელწოდებით ზედა პალატის წევრებს, რომელთაც უფლება მოსილების განსხვავებული ვადები აქვთ, ამასთან უმრავლეს ქვეყანაში მათი ნაწილობრივ განახლება ხდება კონკრეტული ვადის გასვლის შემდეგ.

ბიკამერალიზმი უპირველეს ყოვლისა უმცირესობების ინტერესთა დაცვის მიზნით შეიქმნა, ასევე მისი პირველადი მიზანი საზოგადოების ფართოდ წარმომადგენლობა გახლდათ, რაც თავისმხრივ ხელს უწყობს საჯარო ინტერესების განხორციელებას, მაგრამ თანამედროვე საკონსტიტუციო სამართლის პირობებში ისევ განიცადა ცვლილება და მის ძირითად როლს წარმომადგენლობითი მექანიზმის გარდა დაემატა ძალთა ბალანსის ფუნქცია, შეკავებისა და გაწონასწორების მექანიზმის სხით.<sup>51</sup>

ბიკამერალიზმის ირგვლივ მრავალ საინტერესო საკითხზე შეგვიძლია ვისაუბროთ თუმცა, იმისათვის, რომ არ გავცდეთ სამაგისტრო ნაშრომის მიზნებს ქვემოთ მოკლედ ჩამოვთვლი მისთვის დამახასიათებელ ნიშნებს:

1. დემოკრატიის მაღალი ხარისხი.
2. გამონაკლისების გარდა არჩევის განსხვავებული წესი.
3. ტერიტორიული ერთეულების-უმცირესობების ინტერესთა დაცვა და წარმომადგენლობა.
4. დამატებითი ძალთა ბალანსი, შეკავებისა და გაწონასწორების თვალსაზრისით ძალაუფლების განაწილების მხრივ.
5. განსაკუთრებული მართვლობის სფეროში ნაჩქარევი გადაწყვეტილებებისგან დაცვა.
6. საკანონმდებლო ხელისუფლების დათხოვნის შემთხვევაში კვაზი საკანონმდებლო ფუნქციები.
7. პასუხისმგებლობის სხვადასხვა სახისა და დოზით განაწილება (ინდივიდუალური და სოლიდარული).

---

<sup>51</sup> კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი და საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ქ.თბილისი 2016 წ (გვ. 126-133).

8. პოლიტიკური სტაბილურობა, უფლებამოსილების ხანგრძლივი ვადის გამო.
9. განახლებადი რესურსი, სენატის-სენატორების როგორც ზედა პალატის ახალი წევრების, არჩევა კონკრეტული პერიოდულობითა და რაოდენობით.
10. კვაზი საკონსტიტუციო კონტროლი საკანონმდებლო საქმიანობაზე.
11. რეალური ანგარიშ გასაწევი ძალა, ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხით.

ბიკამერალიზმზე საუბრისას ცხადია საინტერესოა პალატათა შორის ურთიერთობა, მათი ფუნქცია მოვალეობები, განსხვავებები და სხვა თანმდევი საკითხები.

2000 წლის 14 მარტს მსოფლიო სენატის ფორუმზე, დაახლოებით ორმოცდაათამდე დელეგაციამ, ერთხმად მიიღო დეკლარაცია, რომლითაც დასახელდა ოთხი ძირითადი ფუნქცია.<sup>52</sup>

- ❖ დემოკრატიული რეჟიმების გაძლიერება და განმტკიცება ქვეყნის ყველა წევრის წარმომადგენლობისა და ინტეგრაციის გზით.
- ❖ ხელი შეუწყოს დეცენტრალიზაციის პროცესს დაეხმაროს ადგილობრივ, რეგიონალურ ხელისუფლებასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის ურთიერთობის დარეგულირებას.
- ❖ სამართლებრივი ნორმებისა და სტანდარტების დაცვა თანამედროვე კონტექსტში უფლებამოსილების გამიჯვნის განსაზღვრა და კანონის უზენაესობა.
- ❖ ხელი შეუწყოს საკანონმდებლო დებატებს, ასევე აცნობებს და აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს.

მიუხედავად იმისა, რომ ბიკამერალიზმი „კარგი ჯანმრთელობაა“ მას მაინც ჰყავს მოწინააღმდეგეები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ მეორე პალატა ძალიან ძვირია და ამასთან ის ზედმეტად აფერხებს პირველი პალატის მუშაობას, თუმცა

<sup>52</sup> იხ. EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) ევროპული კომისია კანონის საფუძველზე დემოკრატიისთვის (ვენის კომისია). ევროკომისიის მეორე შუამავლის ანგარიში "საპარლამენტო სირთულე თუ დემოკრატიული აუცილებლობა?" ბატონი პატრის გელარდი, (ექსპერტი, საფრანგეთი) სტრასბურგი, 2006 წ. (გვ.2)  
[https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL\(2006\)059rev-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL(2006)059rev-e)



აღნიშნული უარყოფითი დამოკიდებულება უფრო მეტად იმიტია გამოწვეული, რომ დამატებითი ზედამხედველობისა და ანგარიშვალდებულებისგან იქმნება დისკომფორტი, მითუმეტეს იმ ფონზე, რომ სენატი როგორც უმცირესობების, ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების წარმომადგენლობა კონტროლს უწევს სპეციფიკურ საკითხებს რის გამოც, მეორე პალატა როგორც საკანონმდებლო ორგანო იძულებულია ანგარიში გაუწიოს, განსხვავებულ აზრს.

პალატებს შორის განსხვავება ცალსახად ჩამოყალიბებული არ არის და ყოველი ქვეყნის კონსტიტუცია თავისებურად აყალიბებს მათ უფლება მოვალეობებს, გარკვეულ შემთხვევებში, მეორე პალატას აქვს იგივე ძალა და პასუხისმგებლობა, როგორც მათ კოლეგებს პირველ პალატაში.

მაგალითად: ეს განსაკუთრებით ეხება იტალიას, სადაც სენატს აქვს ისეთივე უფლებამოსილება, როგორც დეპუტატთა პალატას, მთავრობის ქმედების კანონიერების შეფასებასა და მონიტორინგში, თანაბარი უფლებები იტალიაში სხვა საკითხებთან მიმართებაშიც ვლინდება.

აღნიშნულზე ვრცლად საუბრობს, ვასილ გონაშვილი, (საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, V-გამოცემა, თბილისი 2007 წ.) [საკანონმდებლო ფუნქცია ხორციელდება ორივე პალატის მხრიდან ერთობლივად, ამ მხრივ პალატები თანაბარუფლებიანები არიან და არცერთი მათგანის გადაწყვეტილებას უპირატესობა არ აქვს.]<sup>53</sup>

ასევე მსგავსი მიდგომა აქვს „ბოსნია და ჰერცეგოვინას“ კონსტიტუციას რომლის მიხედვითაც: [პალატები თანასწორუფლებიანი არიან, საკანონმდებლო უფლებამოსილების განხორციელებაში, საკანონმდებლო ინიციატივასა და შესწორების უფლებაში, ასევე მთავრობის საქმიანობის მონიტორინგში.]<sup>54</sup>

ბოსნია და ჰერცეგოვინა ორივე საკანონმდებლო სფეროში ასრულებს თანაბარ ბიკამერიზმს.

ზემოთ განხილული მიდგომების მსგავს რეგულაციას, როგორც წესი თანაბარი ბიკამერალიზმის შემთხვევაში ვაწყდებით.

<sup>53</sup> იხ. ვასილ გონაშვილი, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, V-გამოცემა, თბილისი 2007 წ. (გვ.314-3017).

<sup>54</sup> იხ. ვასილ გონაშვილი, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, III-ნაწილი, თბილისი 2006 წ. (გვ.18-20).

არათანაბარი ბიკამერალიზმის პირობებში მიუხედავად მისი პირდაპირი თუ არა პირდაპირი არჩევნების წესისა, პალატებს შორის არათანასწორუფლებიანი ურთიერთობაა, აღნიშნული ხშირ შემთხვევაში გამოიხატება, ფინანსური ძალაუფლების სიმცირეში, მაგალითად: ესპანეთში თუ სენატს ხელისუფლება არ ეთანხმება მას ბიუჯეტის შესწორების უფლება არ აქვს.

ჩეხეთის კონსტიტუციის 42-ე მუხლი; სახელმწიფო ბიუჯეტისა და მისი შესრულების შესახებ კანონპროექტის შეტანის უფლება აქვს, მთავრობას, აღნიშნულ საკითხზე დადგენილება განიხილება ღია სხდომაზე და დადგენილება მიიღება მხოლოდ დეპუტატთა პალატის მიერ.<sup>55</sup>

არათანაბარი ბიკამერალიზმისათვის დამახასიათებელია კონკრეტული საკანონმდებლო უფლებამოსილება, რომელიც პირველ პალატას როგორც ძირითად საკანონმდებლო ორგანოს ეკუთვნის.

პრაქტიკაში გვხვდება რიგი სახელმწიფოები, რომლებიც ორპალატიანი სისტემით სარგებლობენ და მათ სპეციალური უფლებამოსილება აქვთ მინიჭებული ზედა პალატისათვის, მაგალითად: ასეთი ქვეყნების რიგში შედის, ავსტრია, ბელგია, ჩეხეთის რესპუბლიკა, გერმანია, ირლანდია, ნიდერლანდები, რუმინეთი, რუსეთი, სლოვენია, და სხვა ქვეყნები რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების მსგავსად როგორც წესი კონსტიტუციით განსაზღვრავენ „სენატის“ სპეციალურ უფლება მოვალეობებს.<sup>56</sup>

სენატის სპეციალური უფლებები გულისხმობს საკითხის გადაწყვეტაში სავალდებულო, უპირატეს ან და სურვილის შემთხვევაში მონაწილეობის მიღების უფლებას.

როგორც წესი, სპეციალურ საკითხებს სენატის გარეშე ვერ განიხილავს ქვედა პალატა რადგან საკითხის სპეციფიკურობიდან გამომდინარე მისი

---

<sup>55</sup> იხ. ვასილ გონაშვილი, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, I-ნაწილი, ქ.თბილისი 2008 წ. (გვ.649).

<sup>56</sup> იხ. EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) ევროპული კომისია კანონის საფუძველზე დემოკრატიისთვის (ვენის კომისია). ევროკომისიის მეორე შუამავლის ანგარიში "საპარლამენტო სირთულე თუ დემოკრატიული აუცილებლობა?" ბატონი პატრის გელარდი,(ექსპერტი, საფრანგეთი) სტრასბურგი, 2006 წ. (გვ.6-8).  
[https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL\(2006\)059rev-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL(2006)059rev-e)

გადაწყვეტის სრული კომპეტენცია სენატის გარეშე არ აქვს ან საერთოდაც მხოლოდ სენატის კომპეტენციას განეკუთვნება.

ესეთი სპეციფიური საკითხებია:

ავსტრია

- ხელშეკრულებები, რომლებიც გავლენას ახდენენ Länder- ის კომპეტენციებზე
- კონსტიტუციური კანონები, რომლებიც გავლენას ახდენენ ლადენის კომპეტენციებზე
- საკონსტიტუციო კანონები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუნდესტრას ორგანიზაციაზე

ბელგია

- სახელმწიფო რეფორმის საკონსტიტუციო გადახედვა და სპეციალური კანონები
- მონარქიის სტატუსი
- მნიშვნელოვანი კანონმდებლობა (საერთაშორისო ხელშეკრულებები, თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებები, სასამართლოები, მოქალაქეობა)

ირლანდია

- საკონსტიტუციო გადასინჯვა
- საერთაშორისო ურთიერთობები
- პრეზიდენტის სტატუსი

იტალია

- რეგიონალური საბჭოს გაუქმება

ესპანეთი

- საკონსტიტუციო გადასინჯვა
- ადგილობრივი ადმინისტრაცია და ავტონომიური თემი (მაგრამ ქვედა სახლი შეიძლება ჰქონდეს ბოლო სიტყვა)

უმეტეს მეორე პალატას აქვს ფართო უფლებამოსილება ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგში: შეკითხვები, კითხვები, წინადადებები და

რეკომენდაციები საკონსტიტუციო სასამართლოში. თუმცა, პოლონეთისა და სლოვენის ზედა პალატებისათვის ეს უფლებამოსილებები საკმაოდ შეზღუდულია.<sup>57</sup>

2000 წლის 14 მარტს მსოფლიო სენატის ფორუმზე, დასახელებული ოთხი ძირითადი ფუნქციის ქვეშ, სწორედ ასეთ სპეციფიურ საკითხთა განსაკუთრებული კონტროლი მმოიაზრება ბიკამერალიზმის ერთ-ერთ დადებით მახასიათებლად.

თუმცა აღნიშნული ამით არ ამოიწურება და საკითხთა ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია, ვინაიდან ყოველი სახელმწიფო თავად განსაზღვრავს, თუ რა არის სენატის კომპეტენცია და რა რეალური ძალისა და ფუნქციის მატარებელი იქნება ის.

ორპალატიან სისტემას, როგორც უკვე ავღნიშნეთ, მაღალი დემოკრატიული მართველობის სტანდარტი აქვს, გამომდინარე მისთვის დამახასიათებელი ნიშნებიდან, ამ ნიშნებიდან, ერთ-ერთი მათგანია პრეზიდენტის შესაძლებლობა დაიცვას სხვა უმცირესობების ინტერესები და თავად წარადგინოს, სენატორთა გარკვეული რაოდენობა, სწორედ ეს მახასიათებელი უხსნის საქართველოს გზას და აძლევს რეალურ შესაძლებლობას დანერგოს ორპალატიანი საპარლამენტო მართველობა, ამასთან ტერიტორიული მოწყობის საკითხი დროებით ისევ ღია დატოვოს ვიდრე არ მოხდება ქვეყნის დეოკუპაცია.

---

<sup>57</sup> იხ. EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) ევროპული კომისია კანონის საფუძველზე დემოკრატიისთვის (ვენის კომისია). ევროკომისიის მეორე შუამავლის ანგარიში "საპარლამენტო სირთულე თუ დემოკრატიული აუცილებლობა?" ბატონი პატრის გელარდი,(ექსპერტი, საფრანგეთი) სტრასბურგი, 2006 წ. (გვ.6-10).

## დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომის მიზანი იყო გაგვეგო შესაძლებელია თუ არა ორპალატიანი სისტემის დანერგვა საქართველოში, ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიების მიუხედავად.

აღნიშნულის გასარკვევად, ჩავატარეთ შესაბამისი კვლევა ძიება, განვიხილეთ, ბიკამერალიზმის წარმოშობის ისტორია, მისი განვითარების ეტაპები, ზოგადი არსი თუ რა არის ბიკამერალიზმი, რას ემსახურება და როგორი დანიშნულებით გამოიყენება ამა თუ იმ ქვეყანაში.

უპირატესად გამახვილდა ყურადღება საქართველოში მიმდინარე საკანონმდებლო თუ სხვა სახის პროცესებზე, რომელმაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მოახდინა ზეგავლენა ამ სისტემის დანერგვის პროცესზე, ასევე განვიხილეთ ბიკამერალიზმისათვის დამახასიათებელი საარჩევნო სისტემები, მისი ძირითადი ფუნქციები და ზეგავლენა იმ ქვეყნების კონსტიტუციებზე რომლებიც სხვადასხვა გვარად განსაზღვრავენ ორპალატიანი სისტემის, მთავარი რგოლის - ზედა პალატის დაკომპლექტებას.

ნაშრომში მოყვანილია მსოფლიოს თანამედროვე აქტივობები, რომლითაც ნათელი სურათი შეიქმნა თუ რა დამოკიდებულება აქვთ აღნიშნული სისტემის მიმართ თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებს, რომლებიც განვითარების დონით უდაოდ ლიდერობენ.

ვისაუბრეთ 2000 წელს 14 მარტს ჩატარებულ მსოფლიო კონგრესის ფორუმზე, რომელზეც ერთხმად დადგინდა სენატის-ზედა პალატის ოთხი ძირითადი მახასიათებელი.

განვიხილეთ გარემოებები რომლებიც წინაღმდეგობაში მოდის ბიკამერალიზმთან, ვისაუბრეთ საქართველოში სხვადასხვა წლებში მიმდინარე საკანონმდებლო მოვლენებზე, რომლითაც ადგილი ჰქონდა მცდელობას გადასულიყო ორპალატიან მართველობის ფორმაზე.

ტექსტში საუბარია ასევე სისტემის მოქნილობაზე და მის უპირატესობაზე განსაკუთრებით კრიზისის დროს, ფართოდ არის განხილული პალატებს შორის უპირატესობა და მათ შორის განსხვავებები.

ამ საკითხთა დამუშავებისა და შესწავლის პროცესში ბუნებრივად გამოიკვეთა რამდენიმე კითხვა რომელსაც ტექსტში განხილული საკითხთა შინაარსი ნათლად სცემს პასუხს.

სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში განხილულ იქნა უკანასკნელი კონსტიტუციური ცვლილებები და ყურადღება გამახვილდა შეკავებისა და ძალთა ბალანსის საკითხებზე, იმპიჩმენტის პროცედურებსა და რიგ გარემოებებზე რომლებიც მჭიდრო კავშირშია საპარლამენტო მართველობის როგორც, მონოკამერალურ ასევე ბიკამერალურ მართველობასთან.

კვლევის შედეგად შემოთავაზებულ იქნა პრობლემური საკითხის გადაჭრის გზები, ერთშემთხვევაში ეს იყო, დღესმოქმედი კონსტიტუციით დადგენილი პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხთან დაკავშირებული პროცედურული ბუნდოვნების აღმოფხრის გზა.

საუბარია: საქართველოს კონსტიტუციის 48- მუხლში დადგენილ წესზე, რომელშიც ჩამოთვლილია იმ პირების იმპიჩმენტის სია, რომლებმაც დაარღვიეს საქართველოს კონსტიტუცია ან ქმედებაში შეინიშნება დანაშაულის ნიშნები, ასეთ დროს პარლამენტს უფლება აქვს დაიწყოს იმპიჩმენტის პროცედურები, თუ იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არა ნაკლებ 1/3-ი.

კონსტიტუციის 48-ე მუხლითვე არის განსაზღვრული, რომ ასეთ დროს პარლამენტი საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავს საკითხის სამართლებრივი შეფასების მოსამზადებლად.

ხოლო თავის მხრივ საკონსტიტუციო სასამართლო შეზღუდულია სხვა საკანონმდებლო აქტებით გაცდეს სამართლებრივ დასკვნის პროცეს , მიუხედავად იმისა საკმარისი იქნება თუ არა ის ინფორმაცია დასკვნის მოსამზადებლად რაც მიიღო საკონსტიტუციო სასამართლომ.

ამსაკითხთან მიმართებით საინტერესოდ მსჯელობს ევა გოცირიძე თავის ნაშრომში, რომელიც ზემოთ ასევე განვიხილეთ, მართლაც ადვილი შესამჩნევია, რომ იმპიჩმენტის პროცედურა არ არის მოქცეული საყოველთაოდ აღიარებულ

დანაშაულის დადგენისათვის აუცილებელად გასავლელ პროცედურათა ჩარჩოში.

შესაბამისად ალბათობა იმისა, რომ იმპიჩმენტის პროცედურის გავლით დაირღვეს ბრალდებულის უფლებები მაღალია.

გამომდინარე ამ რისკისა და ალბათობის თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილად მიმაჩნია იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების შემდეგ, შეიქმნას სპეციალური საგამომიებო კომისია, რომელიც თანაბრად დაიცავს როგორც ბრალდებულის ასევე სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს, ჩაატარებს შესაბამის კვლევა ძიებას, მოიძიებს ფაქტებს, მტკიცებულებებსა და სხვა საჭირო ინფორმაციას, რომელსაც ერთიანი სახით გადაუგზავნის საკონსტიტუციო სასამართლოს.

ამ შემთხვევაში გამართლებული იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს შეზღუდვა იმდენად რამდენადც დღესაა შეზღუდული იგი, რადგან თუ იმპიჩმენტის პროცედურაში საგამომიებო კომისიაც მიიღებს მონაწილეობას და ჩაატარებს სრულფასოვან კვლევა ძიებას მაშინ საკონსტიტუციო სასამართლოს აღარ მოუწევს ბრმად მიიღოს სამართლებრივი დასკვნა.

ჩემი აზრით აღნიშნული მიდგომა აღმოფხვრის საპროცესო სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის ვაკუუმს.

რაც შეეხება ნაშრომის ფუნდამენტური კვლევის მიზანსა და ინტერეს როგორც უკვე არაერთხელ აღნიშნეთ, არის პასუხი კითხვაზე: შესაძლებელია თუ არა ოკუპაციის პირობებში საქართველო გადავიდეს, ბიკამერალურ-იგივე ორპალატიან მართველობის სისტემაზე?

ამ კითხვაზე ჩემი პასუხია დიახ შესაძლებელია. !

აღნიშნული პოზიცია ტექსტში გაჟღერებული არ არის ეს ერთობ წინასწარი შეცნობით განხორციელდა ვინაიდან ნაშრომში განხილული საკითხების გაანალიზებით ცხადი ხდება, რომ ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა არ წარმოადგენს იმდენად დიდ და დამაბრკოლებელ გარემოებას, რომ შეუძლებელი იყოს მისი როგორს მართველობის ფორმის დამკვიდრება.

თუ გავიხსენებთ ბიკამერალიზმის საარჩევნო სისტემას, განსაკუთრებით კი ზედა პალატის დაკომპლექტებას დავინახავთ, რომ მისი არჩევის სხვადასხვა ხერხისა და დაკომპლექტების ფორმის მიუხედავად, უმეტეს შემთხვევაში, სახელმწიფოს მეთაური ირჩევს გარკვეულ სენატორთა რაოდენობას.

ასეთივე შესაძლებლობა იყო გათვალისწინებული 1995 წელის 7 მაის გამოქვეყნებულ კანონ პროექტში, სადაც სენატორთა არჩევის უფლებით აღჭურვილი იყო პრეზიდენტი, რომელსაც შეეძლო აერჩია ხუთი სენატორი ორი წლის ვადით, აღნიშნული უფლება მოსილება ენიჭებოდა სხვა უმცირესობების ინტერესთა დაცვის მიზნით.

ჩემი აზრით სწორედ ეს მახასიათებელი აძლევს ბიკამერალიზმს პოტენციალს თავი დაიმკვიდროს დღევანდელი ოკუპაციის პირობებში, თუ იქნება შესაბამისი პოლიტიკური ნება მაშინ კანონმდებელს მარტივად შეუძლია ჩაწეროს კონსტიტუციაში, რომ ვიდრე ქვეყნის ოკუპაცია არ დასრულდება და შესაბამისი ტერიტორიის მაცხოვრებლებს არ მიეცემათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის პოლიტიკური მართვის საარჩევნო პროცესში, და სხვა უმცირესობების მსგავსად თავისი წილი პირდაპირი კონტროლის მექანიზმი შეუქმნან მთავრობას, სენატორთა იმ წარმომადგენლებს რომლებიც უნდა აერჩიათ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას, დანიშნავს პრეზიდენტი მანამ სანამ არ იარსებებს შესაბამისი შესაძლებლობა თავად განახორციელონ მინიჭებული საარჩევნო უფლება.

უფრო მარტივად, რომ მიუდგეთ საკითხს დაახლოებით ასეთი სურათი წარმოისახება, ორპალატიან სისტემაში ქვეყნის პრეზიდენტი როგორც მთავარსარდალი სხვა უმცირესობების დასაცავად მათ შორის ოკუპირებული ტერიტორიების წარმომადგენელთა ინტერესების დასაცავად აირჩევს სენატორთა შესაბამის რაოდენობას, აღნიშნული პროცესი გაგრძელდება მანამ სანამ არ ექნებათ საშუალება აღნიშნულმა უმცირესობებმა თავად გააკეთონ არჩევანი.

სწორედ ასეთი ფორმატის მეშვეობით მიმაჩნია შესაძლებლად დარეგულირდეს ოკუპირებული ტერიტორიის საკითხი სამართლიანად და ეფექტურად.



მითუმეტეს იმ ფონზე როდესაც ასეთივე ოკუპაციის პირობებში საქართველომ შეძლო წარმოდგენილი განვითარების გზას დადგომოდა და წარმოეჩინა თავი როგორც ერთ-ერთ დემოკრატიულ სახელმწიფოდ.

გარდა ამისა საქართველოში რეალურად ფუნქციონირებს საპარლამენტო მართვლობის სისტემა, და თუ ერთი საპარლამენტო სისტემისათვის შესაძლებელია ფუნქციონირება ოკუპაციის პირობებში მაშინ რატომ არის წინაპირობა ტერიტორიული მთლიანობა მეორე საპარლამენტო სისტემისათვის?

რათქმაუნდა აღნიშნულ პოზიციასაც აქვს არსებობის უფლება თუმცა მიმაჩნია, რომ ის საკმაოდ სუსტი არგუმენტაციის მქონეა, საბოლოო ჯამში უნდა ითქვას, რომ თუ იქნება შესაბამისი პოლიტიკური, საზოგადოებრივი, და სახელმწიფოებრივი მზაობა ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია ორპალატიანი სისტემის როგორც მართვლობის ფორმის გაცილებით დემოკრატიული და ამასთან მაღალი ლეგიტიმური სისტემის დანერგვა უდაოდ შესაძლებელია.

## გამოყენებული ლიტერატურა

### ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა

1. ანდრამ შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, ქ.თბილისი, 2003 წ. გამომცემლობა „სეზანი“
2. ალექსანდრე ტალიაშვილი, ანტიკური ქვეყნების სასამართლო და პროცესი, თბილისი 2009. წ.
3. ბეჟა ქანთარია ორპალატიანი სისტემის პერსპექტივა საქართველოში 2014 წ.
4. გიორგი პაპუაშვილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია. ქ.ბათუმი 2013 წელი II-გამოცემა.
5. გონაშვილი ვასილ, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, V-გამოცემა, თბილისი 2007 წ.
6. გონაშვილი ვასილ, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, III-ნაწილი, თბილისი 2006 წ.
7. 7.გონაშვილი ვასილ, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, I-ნაწილი, ქ.თბილისი 2008 წ.
8. დემეტრაშვილი ა., გოგიაშვილი გ., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2016, გამომცემლობა „იურისტთა სამყარო“
9. ევა გოცირიძე, იმპიჩმენტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქ.თბილისი, 2013.წ
10. ევა გოცირიძე, იმპიჩმენტის პოლიტიკურ ბუნებასთან დაკავშირებით 2015 წელს, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და სასამართლოს მოსამართლეთა ასოციაციის ჟურნალი, „მართმსაჯულება და კანონი“ (#1(44)'15.)
11. 11. ევროკომისიის მეორე შუამავლის ანგარიში "საპარლამენტო სირთულე თუ დემოკრატიული აუცილებლობა?" ბატონი პატრის გელარდი,(ექსპერტი, საფრანგეთი) სტრასბურგი, 2006 წ. EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) ევროპული კომისია კანონის საფუძველზე დემოკრატიისთვის (ვენის კომისია).
12. ვალერიან მეტრეველი , რომის სამართალი, თბილისი 2005. წ

13. ვ. გონაშვილი, შემდგენთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი, საზღვარგარეთის კონსტიტუციები, (მეორე გადამუშავებული გამოცემა), კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმძღვანელოსათვის“ თბილისი 2008. წ
14. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი და საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ქ.თბილისი 2016. წ
15. კახი ყურაშვილი., კონსტანტინე ჩოკორაია., ანა ბუჩუკური., ბიკამერალიზმის დილემები. ქ.ბათუმი 2011წ. კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის მეცხრე გამოცემა.
16. მაჭარაძე ზურაბ, დისერტაცია, მთავრობის საქმიანობის საპარლამენტო კონტროლი. ქ.თბილისი 2017.წ
17. მელქაძე ო., სახელმწიფო კონტროლი, თეორია, პრაქტიკა, პერსპექტივა, პოლიტიკურ-სამართლებრივ ლიტერატურათა სერია, წიგნი IV, გამომცემლობა „უფლება“ თბილისი 1996.წ

#### განხილული კანონმდებლობა.

1. საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია.
2. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია.
3. კონსტიტუციის კანონ პროექტი გამოქვეყნებული გაზეთ ფორტეში 1995 წლის 7 მაისს.
4. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ.
5. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საარჩევნო კოდექსი.
6. პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია. THE CONSTITUTION OF THE REPUBLIC OF POLAND OF 2nd APRIL, 1997.

7. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა( დაცული ფონდები, კონსტიტუციის კანონპროექტები)

## ინტერნეტ რესურსი

1. <https://matsne.gov.ge/document/view/1557168?publication=53>
2. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>
3. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=10>
4. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=18>
5. [http://press.tsu.ge/ge/net\\_editions/xj-niq8km-r9euks3/xqgxxvs79x5lrl\\_8d/](http://press.tsu.ge/ge/net_editions/xj-niq8km-r9euks3/xqgxxvs79x5lrl_8d/)
6. <https://ipu.org/>
7. [http://www.parliament.ge/files/1055\\_16721\\_957521\\_saarchevno\\_sistemebi.pdf](http://www.parliament.ge/files/1055_16721_957521_saarchevno_sistemebi.pdf)
8. <http://constcourt.ge/ge/publications/books/1921-wlis-saqartvelos-demokratiuli-respublikis-konstitucia.page>
9. <http://www.sejm.gov.pl/prawo/konst/angielski/kon1.htm>
10. <https://info.parliament.ge/#law-drafting/13831>
11. <http://www.camera.it/files/regolamento/regolamento.pdf>
12. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32944%23?publication=28>
13. [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL\(2006\)059rev-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL(2006)059rev-e)